



იქორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№319 (378) 9-16 იანვარი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ (ორბანი) 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად დაეპყრობა, არამედ ისაა, რომ დაეპყრობა ქართველებმა არ მისი მებრულია – ააქი შენიძა

ალექსანდრე ზაჭია: ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი დღევანდელი თაობა როდია

გაზეთში “სატარტემლო და მს(რ)ფელი” – დაბეჭდა 2014 წელს

– თქვენ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში მომავალი პრეზიდენტის როლის შესახებ ახალი ხედვით გამოხვედით და განაცხადეთ, რომ პრეზიდენტი უნდა დაევალებულიყო, დაკავდეს ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენის პრობლემით. ჩვენმა გაზეთმა მხარი დაუჭირა თქვენს იდეას. გამოკითხვა უამრავი ექსპერტი და ბევრი მათგანი დაეთანხმა საკითხის ამგვარად დასმას, თუმცა ამ შეთავაზებას ხელისუფლებისგან რეაგირება არ მოჰყოლია. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– თუ ხელისუფლებას სჭირდება ნომინალური პრეზიდენტი, რომელიც ოფიციალური ვიზიტებით ევროპასა და ამერიკას ეწვევა და კულტურულ დონისიბეგებში მიიღებს მონაწილეობას, მაშინ რეაქციის არქონა ჩემს შეთავაზებაზე გასაკვირია. ასეთ თანამდებობას ჩვეულებრივ «სინკურასს» უწოდებენ: ადამიანი ზის ხალხის კისერზე, იყენებს ყველა პრივილეგიას, სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით, ხოლო საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს მას არაფერია სოხვის. საქართველოში ასეთ თანამდებობაზე პრეზიდენტი ბევრია და მათგან ნაწილმა უკვე წარადგინა თავისი თავი, მაგრამ, თუ ასე თანამდებობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებლობით დატვირთვათ და დაეკავდეთ, რომ ერთ-ორ წელიწადში პრეზიდენტი უნდა წარადგინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები, მაშინ აბსტრაქტული დაკავების მსურველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდება. მე ვთვლი, რომ ქართველ ერს არ გააჩნია სურვილი და ფუფუნება, რომ ძვირადღირებული მალაქნილობის უსაქმური შეინახოს. ვთვლი, რომ ეს მაღალი რანგის პოსტი აუცილებლად კონკრეტული ამოცანების, მიზნების მისაღწევად უნდა იქნას გამოყენებული. შევარდნაძე-საკაშვილის მმართველობის პერიოდში რუსეთთან, აფხაზეთან, ოსებთან ურთიერთობების სფეროში არავითარი პოზიტიური ნაბიჯი არ გადადგმულა. პოლიტიკის ამ მიმართულებით მუშაობდნენ ყველაზე არაკომპეტენტური ჩინოვნიკები, რომლებიც პარტნიორებთან არანაირი ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ. ორივე ხელისუფალი ამ პრობლემების გადაწყვეტის მიმართ თავის აბსოლუტურ გულგრილობას იხენდა. სააკაშვილმა კი ავგისტოს ავანტიურით პრობლემა სრულ ნიხში შეიკვანა. ახალ ხელისუფლებას, რომელსაც არც სისხლი და არც დანაშაული მიუძღვის, აქვს მცირე შანსი, გამოიყვანოს შექმნილი ვითარება ჩიხიდან. ამისთვის საჭიროა პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ნება, პრეზიდენტის შესაბამისი ფუნქციებით დატვირთვა და ამ პოსტზე რუსული, ოსური და აფხაზური მხარეებისთვის მისაღები ადამიანის არჩევა. ეს აუცილებელია ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. ეს აუცილებელია იმისთვისაც, რომ ივანიშვილმა ერის ნდობა შეინარჩუნოს. საქმე ისაა, რომ ეკონომიკაში სწრაფი წარმატებები ვერ მოხდება, მიღწევათა შედარება ჯერ-ჯერობით ამ ხელისუფლების სასარგებლოდ ვერ იქნება, სულიერ-ხელოვნობრივ სფეროშიც, როგორც უკვე ვისაუბრეთ, სერიოზული ძვრების იმედი არ უნდა გვაქონდეს; ხმაურიანი სასამართლო პროცესების მეშვეობით შესაძლებელია ხელისუფლების რეინტინგის შენარჩუნება, მაგრამ დიდი ხნით – არა. ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ ნდობის შესანარჩუნებლად პოზიტიურ შედეგებს უნდა მიაღწიოს იმ მი-

მართულებით, რომელშიც წინა ხელისუფლებამ სრული კრახი განიცადა. ეს მიმართულებაა რუსეთთან, აფხაზეთან და ოსებთან ურთიერთობები.

– გამოითქვა მოსაზრება, რომ პრეზიდენტად ეთნიკური აფხაზი აგვერჩია. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მან განიხილა ეს წინადადება. როგორია თქვენი აზრი?

– ის ფაქტი, რომ ეს წინადადება სერიოზულად განიხილებოდა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ, მიგვიითხოვს, რომ ხელისუფლებას საერთოდ არ ესმის რეალური სიტუაცია როგორც აფხაზეთში, ისე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. პირველ რიგში, აფხაზის პრეზიდენტად არჩევა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აფხაზია, ადამიანობის თანამდებობა არ ადამიანობისთვის, ისე ქართული საზოგადოებისთვისაც. მეორეც, აფხაზი, რომელიც დღეს გახდება საქართველოს პრეზიდენტი, დაკარგავს ყველა კონტაქტს აფხაზურ საზოგადოებასთან, გახდება აფხაზეთში მიუღებელი ფიგურა.

საქართველოს პრეზიდენტი ქართველი უნდა იყოს, მაგრამ ქართველი, რომელიც სარგებლობს როგორც ქართული საზოგადოების, ისე აფხაზეთისა და ოსების ნდობით.

– აფხაზურ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა თქვენი აზრი თბილისში არსებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მნიშვნელობის შესახებ. შეუძლიათ თუ არა მათ რაიმე როლის შესრულება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზებაში?

– რა თქმა უნდა, არა. ვერანაირ დადებით როლს იხსნი ვერ ითამაშებენ იმ მიზეზით, რომ აფხაზური მხარე მათ არავითარ შემთხვევაში არ დაელაპარაკება. და არამხოლოდ იმიტომ, რომ ბევრ მათგანს აფხაზეთში მომხდარ სისხლიან ტრაგედიაში ბრალი მიუძღვის. საქართველოში არის ხალხი, რომელსაც აქვს კარგი პირადი კონტაქტები აფხაზურ საზოგადოებასთან, აფხაზეთში ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი დაეკავებს ოფიციალურ თანამდებობას აფხაზეთის სტრუქტურებში თბილისში, მაშინვე ყველა კონტაქტი მასთან გაწყდება. ეს რეალობაა და იგი უნდა გავითვალისწინოთ. საერთოდ კი, რა თქმა უნდა, ამ სტრუქტურებს მომავალი არ გააჩნია.

– სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მსოფლიო პატრიარქის შეხვედრის შემდეგ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში შედგება ილია მეორის ვიზიტი აფხაზეთში. რამდენად რეალურია ეს?

– ეს არარეალურია, არავითარი ვიზიტი არ იქნება. სამწუხაროდ, ჩვენი ეკლესია, ისევე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, ყოველთვის იგვიანებს თავისი ინიციატივებით, რითაც პრობლემას ჩიხში აქცევს. ასეთი ვიზიტი სხვა მეთოდებითა და სხვა ხალხის დახმარებით უნდა მომზადდეს. და ამ მიმართულებით მუშაობა არა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან, არამედ აფხაზური საზოგადოების შიგნით უნდა ხდებოდეს.

– ვინ უნდა იმუშაოს? ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა დიდად არ განსხვავდება «ნაციონალების» პოლიტიკისგან, რის გამოც საზოგადოებაში შეიმჩნევა უკიდურესი უკმაყოფილება როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე მთავრობის შემადგენლობის ხარისხით...

– დიას, ბოლო 20 წლის მანძილზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში არ არიან ჭკვიანი, ეროვნულად უმჯობესი, ეროვნული სულით გამსჭვალული პროფესიონალები. რამდენიმე წლის წინ

რუსეთის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მოთხრა: ვიცნობდი და ვიცნობ ბევრ უღირესად განათლებულ, წარმოსადგენ ქართველს – როგორც სუფთა ინტელექტუალებს, ისე ორგანიზატორ-პრაქტიკოსებს; მიიხაროდა ერთი, ვისგან ყალიბდება ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, თქვენი უმაღლესი ჩინოვნიკების კორპუსი, სადა პოულობენ ასეთ გონებაშეზღუდულ და უფერულ ხალხს? მე ვუპასუხე, რომ, ჯერ ერთი, მათ შორის ცოტაა ქართველი, და მეორე, მათ პოულობენ და აწინაურებენ ამერიკელი კურატორები, ქართველი ხალხის აზრს და სურვილს ამ საქმეში არანაირად არ ითვალისწინებენ. ამასთან ერთად, უნდა ვადიაროთ, რომ გარკვეული პროგრესი მაინც არის: თუ ადრე გვრცხვენიდა საჯარო პირების 95 პროცენტის გამო, დღეს ამ გრძობას 60-70 პროცენტის მიმართ განვიცდით. ვნახოთ, შეიძლება დროთა მანძილზე სიტუაცია უკეთესი გახდეს.

უნდა ვადიაროთ, რომ საზოგადოების მოლოდინი ძალიან გადაჭარბებულია. ერს უნდა თვისობრივი ცვლილებები ყველაფერში, უპირველეს ყოვლისა, საკადრო პოლიტიკაში, და იგი უკვე იფიჭვებს, როგორი ხალხი იყო ხელმძღვანელობაში სულ ცოტა ხნის წინ. პრეზიდენტი წარადგინდა მორიგ 23-25 წლის ბიჭს ან გოგონას სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელის პოსტზე, იტყვიდა, რომ ეს «გამოცდილი», «ძალიან ძლიერი პროფესიონალია», ამ უწყების თანამშრომლები მას ტანს უკარავდნენ, საზოგადოება კი დუმდა. გაიხსენეთ, რომ თბილისელებს მერად ჭიაბერაშვილი დაუნიშნეს და ქალაქის საზოგადოება მას «ბატონობით» მიმართავდა; თავდაცვის მინისტრად კეზერაშვილი მუშაობდა და გენერლები მას სმენაზე ედგნენ. გაიხსენეთ სხვა მინისტრები, გუბერნატორები, მერები და მიაქციეთ ყურადღება: ეს ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც, დაკარგავენ თუ არა თანამდებობას, არანაირად იქცევიან. მათ არ გააჩნიათ არც შესაფერისი პიროვნული თვისებები, არც საზოგადოებაში საკმაო ავტორიტეტი საიმისოდ, რომ თანამდებობის დაკარგვის შემდეგ დაიწყონ პატივსაცემ პიროვნებად ქვეყანაში ან ქალაქში. მათ ეს კარგად ესმოდათ, ამიტომაც ერთგულად ემსახურებოდნენ პატრონს და პარალელურად ცდილობდნენ, დაეგროვებინათ პირადი კაპიტალი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ უსრუველად ცხოვრებისთვის. ზოგ ხელისუფალს ხელს აძლევს ასეთი, სრულიად მასზე დამოკიდებული ხალხი, მაგრამ ეს ხელისუფლებას ავტორიტეტს არ ჰმატებს და ბოლოსდაბოლოს რეჟიმის კრახით მთავრდება.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილი კადრების შერჩევის ასეთივე პრინციპით ხელმძღვანელობს...

– შესაძლოა, მაგრამ მაინც მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაგალითად, ადრე მე ვერ ვუყურებდი ტელევიზორს: მრცხვენოდა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდიოდნენ. დღესაც ხშირად მიხნდება უხერხულობის გრძობა, მაგრამ, მცირე გამონაკლისის გარდა, არ მაწუხებს მწვავე სიტყვების განცდა.

– და ვინაა ეს მცირე გამონაკლისი?

– მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრი. და საქმე ის არაა, რომ იგი არც ერთი პარამეტრი არ შეესაბამება სადღესოდ გსოვდენ მნიშვნელოვან თანამდებობას. გავიგე, როგორ განაცხადა მან, რომ მისთვის სტალინი და პიტლერი ერთნაირი ბოროტებაა. ასეთმა უეცრობამ, ასეთმა ცინიზმმა, აზროვნების ასეთმა დაპატივსაცემი, უბრალოდ, გამაოგნა! მან არამხოლოდ ისტორიის და ადამიანური მორალის საკითხებში სრული უმეცრება გამოავლინა, არამედ საკუთარ ხალხს,

განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყველაზე დამსახურებულ თაობას – დიდი სამამულო ომის ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი თავხედური განცხადების შემდეგ მინისტრი თავის პოსტზე აღარ დაჩნებოდა. მისი ადგილი არა მთავრობაში, არამედ იმ მაიმუზებს შორისაა, რომლებიც გორში სტალინის დაცემული ძეგლის ფონზე პოზირებდნენ. საოცარია, რომ ეს გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილია. მე ვიცნობდი მამამისს, მახსოვს, როგორ მოდიოდა ხოლმე დავით ჩხიკვიშვილთან და მოჰქონდა ახალი, სადღაც აღმოჩენილი მასალები სტალინზე, რომლებიც ამ უდიდესი პიროვნების გენიალურობას ამტკიცებდა. მე არ ველოდი მისი ქალიშვილისგან ასეთ უხრველობას, უკულტურობასა და პრიმიტივიზმს.

– ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც ქართულ საზოგადოებას აწუხებს, უცხოელებზე მიწების გაყიდვაა. არსებობს მოსაზრება, რომ გაყიდვის მასშტაბები უკვე თავად ჩვენი ერის არსებობას ემუქრება.

– ეს სწორი მოსაზრებაა. თუ გახსოვთ, ყოველთვის გამოვდიოდი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდეგ. მომეყვინებოდა მაგალითები რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ მახეში გაბნენ, ვარწმუნებდი საზოგადოებას, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა გახდება ღარიბი გლეხების ერთადერთი, მაგრამ მკვდარი კაპიტალი და ის აუცილებლად შეეცდება მის გაყიდვას, ხოლო ყიდვას შეძლებენ მხოლოდ უცხოელები. ჩემი ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ეს არის «ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკაა», და, «თუ ჩვენ ვეროპაში ვინდობ», უნდა ვიყოთ ასეთივე ცივილიზებული. მთავარი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა და მის მიერ დაქირავებული საქართველოს მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები არწმუნებდნენ ერს, რომ ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას «საბჭოთა ჩიხიდან» გამოიყვანს. ეს ასფალტზე გაზრდილი «ექსპერტები» არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ, თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააუმჯობესდნენ და მიწას გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგებდნენ, მაშინ მადლიერი და გახარებული გლეხობა გამორჩეული ენთუზიაზმით დაამუშავებდა მას, მოსაველიანობა ამომავლ გაიზრდებოდა და ყველა იქნებოდა ბედნიერი და კმაყოფილი. საინტერესოა, რომ თავად გლეხები სხვა აზრისანი იყვნენ, მაგრამ «ექსპერტები» ამას მათი «წამოხრენილობითა» და «საბჭოთა მენტალიტეტით» ხსნიდნენ. მახსოვს ტელეკორტაჟი კახეთიდან, რომელშიც ეურნადისტმა პკითხა მოხუც გლეხს, რას გააკეთებდა იგი, როდესაც მიწას საკუთრებაში მიიღებდა. მან დაღონებულმა შეხედა მას და უპასუხა: «გაყვიდი, შვილო, თუ ვინმე იყიდის. რით ან როგორ დაგამუშავებ». ჩვენს «ცივილიზებულ» ექსპერტებს არ ესმოდათ, რომ თავად მიწა გლეხისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ღირებულებას წარმოადგენს მოსავალი და მისი რთავლიანობა შესაძლებლობა. ხოლო რთავილი მოსავალი, მიწა უნდა დაამუშავოს, ამისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკა, საწვავი, სასუქი და ა. შ. თუ ეს ყველაფერი გლეხს არ გააჩნია, მაშინ მიწაც არ სჭირდება და იგი ეცდებოდა მის გაყიდვას; ხოლო მცირემიწიანი საქართველოს პირობებში ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი ერი დაკარგავს საკუთარ მიწაზე უფლებას.

რეცენზია იმორ კეკელიას საღისურვო-ნაშრომზე „სამებროსა (ოდიში) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაბრატონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიკოგრაფია“

მეოთხე თავის მესამე ქვეთავში („ტეხურის ხეობა“, გვ. 115-171) დისერტანტი ვახუშტის მიერ დასახელებულ და ლოკალიზებულ, იშვიათი გამოწვევის სახით კი ეტიმოლოგიამოცემულ ტოპონიმებს ერქვა: ტეხური, ისულა/ისულეთი, შხევი, უნაგირას მთა, სენაკი, ციხეგოჯი, სალიპარტიანო... ვახუშტი თვლის, რომ ტეხურის სახელწოდება მოტივირებულია მდინარის ხასიათით – ჩქარი, შემშუსრავი დინებით. ი. კეკელია ირწმუნება, რომ ტეხური დატეხილ-დაკლაკინდ კალაპოტს ან მტეხავს, მტეხავს ნიშნავს. ჩვენ იმ აზრზე ვართ, რომ ტეხურის ამგვარი განმარტება გამოწვეულია რამდენიმე ბგერის დამთხვევით, რასაც მეცნიერებაში ცრუხალხური ეტიმოლოგია ეწოდება. ტეხური (< ტეხს) ქართული წარმოებისაა, რადგან ტეხ- ფუძე მეგრულში შეესატყვისება ტახ-, რაც მოვცემდა ფორმა ტახირს.

ვახუშტის ერთ-ერთი თემატიკა დეპოტაა ასეთია: „სახელოები ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე“. ი. კეკელიას აზრით, როგორც ჩანს, ოდიშის ერთი ნაწილი, კერძოდ, როინსპირეთი, ვაკე იმერეთის შემადგენლობაში იყო (გვ. 117). ამასთანავე, სოფლის სახელწოდებები, ჩვეულებრივ, გამოიყენება „ისულა“, ხოლო „ისულეთი“, ვახუშტის გარდა, როგორც დისერტანტი აღნიშნავს, მხოლოდ მოსახლეობის აღწერის (1886 წ.) მასალებშია დადასტურებული. ვახუშტის „ადწერა“ ასახელებს და წარმოგიდგინს ნაქალაქებს, ანუ ციხეგოჯს. ი. კეკელია ასკვნის, ვახუშტის შეხედულება ციხეგოჯის ადგილმდებარეობაზე დასაბუთებულია ნაქალაქეში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით, რამაც დაადასტურა, რომ ციხეგოჯი მართლაც ქუჯი ერისთავის ეპოქაში აიგო, როგორც ეს დადასტურდა 1976 წლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (გვ. 121). ქართველ მეცნიერთა დასკვნით, ლამბერტისა თუ გოულდენშტედტის ცნობებითაც ციხეგოჯი ახლანდელი ნაქალაქეია (გვ. 122).

XIX ს-ის ოფიციალურ წყაროებში ამ პუნქტს ხან ნაქალაქევი ეწოდება, ხანაც – ნოქალაქევი. არქეოლოგის (ქართ. „ბეჭდები ციხე“) ბიზანტიურ წყაროებში VI ს-დან დასტურდება. ქართულში ნა- წინაგითარების სახელებს წარმოქმნის, ხოლო მისი მეგრული შესატყვისია ნო-. მაშასადამე, ნოქალაქევი შეიძლება ჩაითვალოს თავდაპირველ და გრამატიკულად გამართულ ფორმად, ხოლო ნა- შუა საუკუნეებში არის დამკვიდრებული ნო-ს ნაცვლად. ამას დიდად ლექსიკური მასალა ადასტურებს. ვახუშტის მტკიცებით, უნაგირას მთა სალიპარტიანოს დასავლეთი სახელვარია. უნაგირას ქედი აბაშა-ტეხურის წყალგამყოფია, მაგრამ ნაქალაქევის შემდეგ გრძელდება ტეხურის მარჯვ. მხარეს. ი. კეკელია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასახელებული ობიექტები ცხენისწყლის აუზშია საუფლებელი. კერძოდ, სწორედ ხუნწის ნაჯიხე უნდა იყოს საისტორიო წყაროების ონოგურის (გვ. 126). შდრ. სხვა მოსაზრება: ონოგურის აბუდათის ციხეა. დისერტანტი უმართებულად თვლის ყველა სხვა მოსაზრებას ონოგურის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით, რადგანაც, აგათაი სქოლასტიკოსის ცნობითაც ონოგურის არქეოლოგიის მიდამოებშია. მეორე მხრივ, ქვედა ხუნწის პატარა ციხე მხოლოდ XVI-XVII სს-ში ჩანს აგებული (გვ. 128). დისერტანტის დასკვნა ბოლოს ასეთი სახეს იღებს: „ვახუშტი ცდებდა, როცა წერს, რომ უნაგირას მთა ტეხურის „დასავლის კიდურსა რიონინამ წარმოსდევს“, სინამდვილეში ეს მთა იწყება თეკლათში, მიუყვება ტეხურის მარჯვ. ნაპირს და ნაქალაქევიდან უკვე ამ მდინარის მარცხ. მხარეს გრძელდება (გვ. 129). რაც შეეხება სალიპარტიანოს, იგი უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე ეს ვახუშტის თხზულებასა და რუკაზეა მოცემული.“ – ასკვნის იგივე კეკელია (გვ. 130).

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავის მეოთხე ქვეთავს ეწოდება „ფოთი და პალიასტომი“ (გვ. 131-137). ამ ორი ობიექტის ლოკალიზაცია ვახუშტისთან სწორადია მოცემული. დისერტანტი მრავალი საისტორიო წყაროსა და თანამედროვე მეცნიერებასთან დაკავშირებით მოკლედ, მაგრამ სრულად გადმოსცემს ფოთი-პალიასტომის ისტორიასა და ეტიმოლოგიას.

მეოთხე თავის მესამე ქვეთავი ეძღვნება

სობისწყლის ხეობას (გვ. 137-149). სობისწყალიდან დაკავშირებით დისერტანტი წერს: „სობისწყალი სათავეს იღებს სოფ. მუხურში, ზ.დ. 2326 მ-ზე, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე“ (გვ. 137). ამ ლოკალიზაციის პირველი ნაწილი ერთგვარი გაუგებრობაა, რადგანაც სოფ. მუხურიდან სობისწყლის სათავემდე საკმაო მანძილია. შდრ. ქსე-ს სწორი ინფორმაცია, რომ სობისწყალს „სათავე აქვს ეგრისის ქედის სამხრ. ფერდობზე“.

ვახუშტის ერთ-ერთი უზუსტობაა „სობისწყლის“ სახელდება „სორგისწყლით“. ფორმულირება ასეთია: „ფოთის ჩრდილო კერძ შესდის ზღვას სორგისწყალი. მიიღო სახელი დაბის სორგისგან ზღვის კიდესა ზედა შენისა“. რა თქმა უნდა, აქ რესპოდენტისეული შეცდომაა. საისტორიო წყაროებში მდინარე აღნიშნება როგორც ხობი და სოფი. ამასთანავე ლამბერტი წერს: „ადგილის სახელი ხოფი მდინარეს მიუღია“, ხოლო სორგა (პირველი და მეორე) ესახედრება ხობს სამხრეთიდან. საერთოდ კი, წარსულში, ხანდახმულთა გადმოცემით, სორგა ეწოდებოდა ვრცელ ტერიტორიას ხობსა და სობისწყლის შესართავთან მდებარე ყუდებს შუა. სორგა პირველად დასახელებულია ლამბერტის მიერ 1654 წელს შედგენილ სამეგრელოს რუკაზე და აგრეთვე ე.წ. ლათინურენოვან რუკაზეც.

რაც შეეხება ვახუშტის ცნობას, რომ ხორგამო აფხაზეთა კათოლიკოსის სახელე არსებობდა, დასტურდება XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილ მრავალ „შეწირულების წიგნსა“ თუ სიგელში.

სობისწყლის აუზთან საერთო არაფერი აქვს სოფელ ჭაქვინჯს, რომელიც ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირზე მდებარეობს (ამ უზუსტობას ყურადღება თ. ბერაძემაც მიაქცია). აღნიშნულ პუნქტს ვახუშტი სამჯერ ასახელებს მხოლოდ და მხოლოდ ჭაქვითის ფორმით. ერთ-ერთ წყადობის წიგნში დასტურდება სახელწოდება ჭაქვი. მეგრული ლექსიკონის ავტორის – ალ. ქობაღიას – განმარტებით, ჭაქვინჯი ნიშნავს ჭის ფსკერს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან მეგრულში ჭის აღსანიშნავად გამოიყენება ლექსემა ინჭა და არა ჭა. ი. კეკელია, ეყრდნობა რა ალ. ქობაღიას განმარტებას, რომ ჭანური მეგრულში კონუსის ფორმის ვიწროთავიანი და ფართობირიანი ჭაბია, გამოთქვამს ვარაუდს: ჭაქვინჯი მეტაფორული ტოპონიმია და აღნიშნავს ჩადობებულ-ჩავარდნილ ადგილს (გვ. 142).

ხეოა სოფელია ურთის მთის ძირას. იგი პირველად მოიხსენიება 1616-1621 წლებში შედგენილ დავთარში. ვახუშტისეული ლოკალიზაცია უზუსტია, მაგრამ ოიკონიმის სახელდების მოტივაციასთან დაკავშირებით აზრი ჯერ არავის გამოუთქვამს.

ვახუშტის ცნობით, ხობში არის გუმბათიანი ეკლესია. ი. კეკელია გულდასმით დააკვირვება პასტელის ჩანახატების ალბომში ერთ-ერთ სურათს, რომელიც აღნიშნულია როგორც „სობის განთქმული ეკლესია“. ნახატში მართლაც გუმბათიანი ეკლესიაა. სინამდვილეს შეესაბამება ვახუშტის ცნობა სობის ეკლესიაში დეკორატიული პერანგის არსებობის შესახებ. ეს პერანგი XVII ს-ში ანტიოქიის პატრიარქსაც უნახავს. როგორც საისტორიო წყაროებშია აღნიშნული, კვართი მართლაც ნამოწვანიით კონსტანტინოპოლიდან VIII ს-ში... საერთოდ, ხობი, ხოფი მრავალ საისტორიო წყაროშია დადასტურებული. ი. კეკელია ჩამოთვლის ყველა ამ წყაროს (გვ. 146-149). აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ისტორიული ხობი დღევანდელი ქ. სობისაგან 2-3 კმ-ითაა დაშორებული.

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავის მეექვსე ქვეთავს ეძღვნება ორი უძველესი დასახლებული პუნქტის – ცაიშისა და სუგდიდის – ლოკალიზაციას, ეტიმოლოგიასა და ისტორიას (გვ. 149-157).

ვახუშტის ცნობა, რომ ჩაისი ჭანისწყლის აუზშია, უზუსტობაა. სინამდვილეში იგი მდებარეობს სუგდიდის 5-6 კმ-ზე, ჯუშის (ენგურის მარცხ. შენაკადი) ორივე მხარეს. XIII ს-ის საისტორიო წყაროებში მოიხსენიება ცაიშის დეკორატიული და ცაიშელი ეპისკოპოსი (ცაიშის საეპისკოპოსო ეგრის-დასავლეთის ერთ-ერთი პირველი საეპისკოპოსოა). იგი დაარსებული უნდა იყოს VII ს-ზე ადრე, მაგრამ ცაიშის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებულ ვარაუდებს იგივე კეკელია რატომღაც არ ეხება).

სუგდიდი დადინათა რეზიდენციად იქცა XVII ს-ში, ლევან II დადიანის მთავრობის პერიოდში. ამავე საუკუნეს ეკუთვნის სუგდიდის სასახლის მოხსენიება არქანჯელო ლამბერტისა და ჯუდიმე მილანელის მიერ. ამავე პერიოდში კასტელს დაუხატავს სუგდიდის სასახლის სურათი. ამ სასახლეს მოიხსენიებენ აგრეთვე ჟაკ ფრანსუა გამბა, გერმანელი მოგზაური ვაგნერი, გოულდენშტედტე, რუსეთის ელჩები და სხვ. ვახუშტი კი არც ასხელებს სუგდიდის მაცხოვრის სახელობის ტაძარს, რომელსაც მეცნიერები XIII-XIV სს. ან XV ს-ით ათარიღებენ. ვარიანტი სუგდიდი საისტორიო წყაროებში გვხვდება XVIII ს-დან. ი. კეკელია დაწვრილებით გადმოსცემს საისტორიო წყაროთა მონაცემებს სუგდიდისა და სუგდიდის შესახებ, განსაკუთრებით კი – სახელწოდების ეტიმოლოგიაზე.

ამ საკითხს თითქმის ოცამდე ქართველი და არაქართველი მეცნიერი შეხება, დაწყებული დიუბუა დე მონაპერით... ძირითადი დასკვნა ასეთია: სურგდიდი > სუგდიდი. საერთოდ, სუგა, სუგუ, სურგა სამეგრელოში მრავალგან გვხვდება როგორც მცირე ბორცვის, შემადლების სახელწოდება. ი. კეკელია ასკვნის, რომ „სუგა ბორცვის, შემადლების, მიწაზვინვის აღმნიშნული სიტყვაა (გვ. 156). სურგდიდი თავდაპირველად იმ ბორცვის სახელი იყო, სადაც დღეს მაცხოვრის ეკლესია დგას. შემდგომ კი მომხდარა სახელწოდების მეტონიმია, ანუ ფართო მიმდებარე ვაკის აღმნიშნულ სახელწოდებად ქვეყლა. განსხვავებულ ეტიმოლოგიებთან დაკავშირებით დაგასახელებთ ორ ავტორს. ნიკო მარი თვლიდა, რომ სუგა- იგივეა, რაც სუგა, ხოლო ეს სუგა- მომდინარეობს სკიითური სკუთ, სკვით, სკუთ ფორმიდან; ჰანი კი ვარაუდობდა, რომ არაბული სიტყვა სუგა- აღნიშნავს ბაზარს და, მაშასადამე, სუგდიდი ნიშნავს დიდ ბაზარს (გვ. 155).

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავის მეშვიდე ქვეთავს ეწოდება „ჭანისწყლის ხეობა“. ჭანისწყალი ერთვის სობისწყალს მარჯვ. მხრიდან დღევანდელი ქ. სობის ჩრდ-ით, 2 კმ-ზე. ვახუშტის „ადწერაში“ ამასთან დაკავშირებით ორი უზუსტობაა: ჭანისწყალი ერთვის ზღვას ხოფში, ხოლო ეს ხოფი შაიხზვისპირა დასახლებული პუნქტია. ვახუშტი იმასაც აღნიშნავს, რომ „ჭაღუნისხეობა“ „ზის ეპისკოპოსის, მწვეწმის ჭანის მდინარისა და დედის მდინარის შორის ადგილთა, კავკასიდაზ ზღუამდე“ (ჭანისწყლის ადგილობრივი ვარიანტია წენწყარი, ხოლო წაღუნისხისა – წენლისა).

„წაღუნისხის“ ეტიმოლოგიის პირველი ცდა ეკუთვნის არქანჯელო ლამბერტის: „ჭანის წყალთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნაგებობა და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ჭანი“; ი. ყიფშიძე: წაღუნისხის ადგილობრივი ვარიანტია „წაღუნისა“, სადაც „წენ- შეიძლება ჩაეთვალოს ჭანურ ეკვივალენტად. მაშასადამე, წაღუნისა ნიშნავს „ჭანის ციხეს“ (მიწას); ს. ჯანაშია: წაღუნისხის < ჭაღუნ-ისა „ჭაღის ციხე“; არნ. ჩიქობავა: წაღუნისა „ქვემო ციხე“. დისერტანტის მსჯელობიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი იზიარებს შესხედულებას, რომლის მიხედვითაც „წენწყარი“ ნიშნავს ჭანის წყალს, ხოლო წაღუნისა ჭანის მიწას.

ქვეთავში „ენგურის ხეობა“ (გვ. 162-174) ვახუშტი დარწმუნებულია წერს: „ენგური, წოდებული დაბის გამომ“, მაგრამ დაბა ეგრეთ არც ერთ რუკაზე არა აქვს აღნიშნული. დისერტანტი ამ საკითხთან დაკავშირებითაც მიმოიხილავს საისტორიო წყაროებსა და მეცნიერთა გამოკვლევებს, მაგრამ არ შეხება ერთ ასეთ ეტიმოლოგიას: წინგური > ინგური (გერ. ინგური-ერთი მნიშვნელობა ასეთია: „ხაზოს გადაწურვის შემდეგ დარჩენილი შრატ“; ვითომ ენგურის წყალი ამ შრატს ჰგავდა). ვახუშტის მტკიცებით, თურქებს რუხის ციხე დაუნგრევათ და მისი ქვით ანაკლიის ციხე აუშენებიათ. ამასთან დაკავშირებით დისერტანტი აღნიშნავს: არის თუ არა სწორი ვახუშტის ცნობა, რომ რუხებმა ანაკლია ააგეს რუხის ციხის ქვებით. „ათეული კილომეტრით დაშორებულ ანაკლიამდე რიყის ქვების გადაზიდვა გაუმართლებელი იქნებოდა“ (გვ. 171). ანაკლია დატანია კასტელის რუკაზეც. ერთ-ერთი იტალიელი 1615 წელს დაწერილ წერილში ამ პუნქტს პერაკელად მოიხსენიებს. სხვა ევროპელის წერილში გვხვდება

ანაკლიაც და არკამაც. არქანჯელო ლამბერტი ასახელებს ანაკლიას და აღნიშნავს, რომ მისი ძველი სახელია პერაკელა. სხვა მრავალი ევროპელი მოგზაურიც ასხელებს ამ ტოპონიმს. ყოველივე ეს შესწავლილი და მოკლედ, მაგრამ სრულად არის წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომში. ბოლოდროინდელი ეტიმოლოგია ეკუთვნის გ. ბელოშვილს: ანაკლიას თურქებმა უწოდეს „იანიკალე“, ე.ი. ახალი ციხე, რომელმაც შემდეგ მოგვცა ფორმა ანაკლია. ი. კეკელია ამ მოსაზრებას მისაღებად თვლის.

ფეოდალური ერთეული სააფაციო, ვახუშტის მიხედვით, მდებარეობს ეგრისის ქედსა და რუხს შუა. ჩემი აზრით, „სააფაციო“ კალმის შეცდომაა, სწორი ფორმაა სააფაქიო – ენგურსა და ჭანისწყალს შუა მდებარე საფეოდალო. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება მთისძირა ქალაქი ჯვარი, სამხრეთით – სუგდიდის რ-ნის სოფ. ჭკადუაში. ეს სწორი ვარაუდი გამოთქმული აქვს თ. ბერაძეს. მაგრამ გასაკვირია, რომ იგი გამოთქვამს სხვა ვარაუდსაც: „სააფაციო“ შესაძლებელია დამახინჯებული საქონაქიო იყოს“. დისერტანტი ვარაუდობს, რომ ვახუშტისეული სააფაციო, შესაძლოა, რეალურად არსებობდა ენგურის მარჯვ. მხარეს, გალის რაიონის სოფ. ნაბაკევის თემის შემოგარენში და გვსაყვებურობს, რომ „სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა“ ნუსხაში ვახუშტისეული „სააფაციო“ და ბროსეუელი „სახოფაციო“, სამწუხაროდ, არ დასტურდება“ (გვ. 173). საქმე ისაა, რომ სამურზაყანოს, სამეგრელოსა და რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონებში, ჩვეულებრივ, ის მასალაა შეტანილი, რაც თვითონ ჩაიწერეთ.

იგივე კეკელიას სადისერტაციო ნაშრომის ბოლო (მეხუთე) თავი აფხაზ მეცნიერებთან მიერ პრინციპულ სადაო საკითხს – აფხაზეთის ისტორიულ გეოგრაფიას შეეხება (თავი V, „თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია პირობები და ტერიტორიული დანაყოფთა მიხედვით“; გვ. 175-252). ქვეთავებია: 1. აფხაზეთის საზღვრები; 2. „დადისწყლის“ და „ეგრისწყლის“ ხეობები; 3. მოქვისა და კოდორის ხეობები; 4. კოდორ-ანაკლიის უღელმთიანი; 5. საკუთრივ აფხაზეთი; 6. ჯიქეთი; 7. აფხაზეთის „აღაზეთი“; 8. ვახუშტი ბაგრატიონი და თანამედროვე აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხები).

როგორც ისტორიოგრაფიაში ცნობილია, მთელი აფხაზეთი ოდიშში შედიოდა. დღევანდელი აფხაზეთი კი სამ ტერიტორიულ ერთეულს მოიცავს: აბუბა, „ორწალშუა“, აბუბა „შუა სოფელი“ (იგივე სააფხაზო) და სამურზაყანო (აბუბა და წაღუნისხის-სუგდიდის რაიონების საზღვრებს შუა).

დისერტანტი აღნიშნავს: „ოდიშ-აფხაზეთის სასაზღვრო მიჯნად მდინარე ენგურის ქვემო დინება დადგინდა“ (გვ. 175). რამდენად სწორია ამგვარი მტკიცებულება, თუკი სუგდიდის რაიონის სოფელი ხურჩა (კოკის თემი) და განარჯიის მუხური (სოფელი და თემის ცენტრი) ენგურის მარჯვ. ნაპირსაა განლაგებული, ხოლო წაღუნისხის რაიონისა და გალის რაიონის საზღვარია მთა ოხაჩქუე და მდინარე ოკაღმახის ხეობა წაღუნისხის რაიონის რაიონებს შუა).

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია ტერმინ „აფხაზეთის“ მნიშვნელობანი: საკუთრივ აფხაზეთი (ეთონიმ „აფხაზის“ სამყოფელი).

მთელი დასავლეთი საქართველო (X ს. დამლექვიანი).

ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავრობად დაქვემდებარებულ უცხო წყაროთა მიხედვით აფხაზეთში იგულისხმება მთელი საქართველო, ხოლო „აფხაზი“ ეწოდება საქართველოს ყველა მკვიდრს (არაბულ, სპარსულ, სომხურ და ბერძნულ წერილობით წყაროებში).

პატიჟო ცხაღია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრის ხელმძღვანელი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



იგორი

ჯუმბერ პატიაშვილი: თუ ჩემი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ევრაზიული კავშირი აღადგენს, მე მიწა ევრაზიულ კავშირში ვუსვლა!

საქართველოში ბოლო ხანს განვითარებული მოვლენების გამო ბევრი პოლიტიკოსი, პოლიტოლოგი თუ რიგითი მოქალაქე შემოფარებულია: დიდი სამამულო ომის გამარჯვებიდან 70-ე წლისთავზე 9 მაისს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მისული ვეტერანები შეურაცხველი: **მნ-ლო-ანიმ** კვლევა ჩაგვიტარა და 31% ევრაზიული კავშირის მომხრე აღმოჩნდა, რამაც ადამიანები ერთმანეთთან დააპირისპირა. იმის თქმაც კი გაბედეს, ეს 31% ქვეყნიდან წავიდეს... ამ დავა-კამათში რიგში **“აღმოსავლეთი პარტიზონების”** სამიტშიც მოგვისწრო და ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები იქიდან **“სეისტოეხით”** ხელში დაგვიბრუნდნენ... **“ქართველი ერი ასეთი შეურაცხყოფის ღირსი არ არის”,** – განაცხადა ძალიან გულნატკენმა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა, რომელსაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ვსაუბრებთ:

- საქართველო უმძიმეს მდგომარეობაშია, მაგრამ რატომღაც ამაზე არც ექსპერტები ლაპარაკობენ, არც პოლიტიკოსები და არც პარტიების ლიდერები... არ მინდა, იფიქროთ, თითქოს რომელიმე მათგანის ნათქვამი რამეს შეცვლის, მაგრამ სათქმელი უნდა იქცეს და გამოსავალიც ერთად უნდა ვეძებოთ. წესია ასეთი – ჯერ უნდა აღიაროთ, თქვა, რაც გჭირს, და მერე გამოსავალი მოძებნო.
- **რას გულისხმობთ, ბატონო ჯუმბერ, სად და რა სფეროში გეჭირს?**
- ყველა სფეროში და ყველა დარგში გეჭირს. გვიწინდა, ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც დასავლეთშია. არადა, იქ ხალხი უამრავი პრობლემის წინაშე დგას, მე კი არ მინდა, რომ ჩემი ქვეყნის მოსახლეობაც მსგავსი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. მე არც ვეროპული თავისუფლება მინდა! თავისუფლება არ ნიშნავს იმას, აკეთო ის, რაც მოგესურვება. ადამიანებს ყველაფრის კეთების უფლება არ აქვთ. არ შეიძლება, უარი თქვა ოჯახზე, ტრადიციასზე, წეს-ჩვეულებასზე. სახელმწიფო არ შენდება ოჯახის გარეშე. სახელმწიფო ოჯახია. თუ ქვეყანა ოჯახურ ტრადიციასზე უარს იტყვის და ერის გაშრობებაზე არ იზრუნებს, უფროს-უმცროსობას არ დაიცავს, სახელმწიფოდ ვერ შედგება.
- ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ დაივიანოთ, რა მიძიება ჩვენი მდგომარეობა. ვიდავს უხილავი ხელი ზუსტად იქ გვიტყავს, სადაც ჩვენი წელში გადატეხა მართვია.
- შეხედეთ იმ კვლევების შედეგებს, რომლებსაც საქართველოში ამერიკული ინსტიტუტები ატარებენ. შეიძლება, ჩემი ცხოვრება ავიყო იმაზე, რას გამომიცხადებს უცხოელი? და შემდეგ – მთელი დღე ყველა სატელევიზიო არხზე ვისმინდე ამ კვლევის არაფრისმომცემ ანალიზს?
- რა იცის გადამთვლელი ქართველის ბუნება, რა შეითვისებს უსამართლო ხალხს? ჩვენთან საქართველოში ყველა კუთხეში და ეკითხებიან, რა უნდათ და რა არის უმთავრესი ქართველი კაცისთვის?
- საქართველოში ყველა კუთხეს თავისი ტრადიცია აქვს და ყველა ოჯახის სიწმინდეზე დამყარებული.
- რაზედ ვფიქროვებო, არც ერთ კვლ-

ევაში აღარ ჩანს, რას ფიქრობს ხალხი დაკარგული ტერიტორიების თაობაზე. აფხაზეთი და სამხაბლო დაეწეება ეძლევა. ამ ყველაფერს კი აფხაზეთიც და ოსებიც ხედავენ და, როგორ ფიქრობთ, ასეთ ვითარებაში უნდომებთ ჩვენთან ცხოვრება? არადა, აფხაზეთთან ლაპარაკი დღესაც შეიძლება, ჩვენ ერთი ვართ.

ვის ენდობება ჩვენთან ურთიერთობა?! შეხედეთ, რა ხდება ქვეყანაში: სოფლის მეურნეობის დასახმარებლად ფული გამოიყოს; გლეხმა გარკვეული თანხა კი აიღო, მაგრამ მანქანა იყოდა, თბილისში რომ ჩამოვიდეს და **“იტაქსოს”**. სოფლის მეურნეობისადმი აგდებული დამოკიდებულება ქვეყანას მიძიდ დაიწვა.

კარგია, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები სახდარგვარეთ რომ დადიან, მაგრამ ვურჩევ, ქართული სოფლები შემოიარონ, მათ პრობლემებს გაეცნონ. ისე კი არა, აქტივს რომ შევირინ და ელპარაკებიან, არა, კარდაკარ იარონ.

ფაბრიკა-ქარხნები გაიყიდა, სამაგიერო კი არაფერი გაკეთებულა. საწარმოებს ვაშენებთ, – ამბობენ. ას კაცს რომ დაასაქმებ, ის საწარმო არ არის. ჩვენს პოლიტიკოსებს პკონიათ, რომ კაპიტალიზმი ნგრევაა, კაპიტალიზმი შენებაც არის, ჩვენ კი მხოლოდ ვანგრევეთ. საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო კი დაინგრა.

- **რას ფიქრობთ, რიგის სამიტის შედეგებზე? ვიზების ლიბერალიზაციასზე უარი გეთხრეს...**
- ამ თემაზე როდესაც ვსაუბრობ, აუცილებლად უნდა შევეხო ქართულ დიასპორას. საბჭოთა პერიოდში მოსკოვში 20 ათასი ქართველი ცხოვრობდა. ძალიან მცირე რიცხოვანი დიასპორა გვეყავდა საფრანგეთში და სულ ეს იყო. ახლა ნახეთ, რამდენია და სად აღარ არიან ქართველები. ზოგიერთს ეს უხარია, არადა, სასიხარულო არაფერია – ის ქართველები აქ დამბრუნებლები აღარ არიან; ქვეყანაში, სადაც ცხოვრების არანაირი პირობა არ არის, არავინ დაბრუნდება.
- ჩვენი პოლიტიკოსები ამ დღეებში რიგაში იდგნენ და ვიზების ლიბერალიზაციას ელოდნენ... მინდა, მათ ვუთხრა – ქართველი ერი ამის ღირსი არ არის, ერს ასეთი შეურაცხყოფა არ დაუმსახურებია. თავხედობასაც აქვს სახლვარი! იქნებ იკითხონ, ხალხს რა სურს და პატივი ცვენ მის აზრს.
- გაიხსენეთ, რა მოხდა 9 მაისს, გამარჯვების დღეს, გამარჯვების, რომელსაც 300 ათასზე მეტი ქართველი შეეწირა. ჩვენმა მთავრობამ როგორ აღნიშნა ეს დღე. არადა, ამ დღის ავტორი ქართველი ვახლეა. 1945 წელს გამარჯვების აღმუშვე ქართველები უდიდეს პატივში იყვნენ, 70-ე წლისთავზე კი საქართველო ზეიმში არ მონაწილეობდა; შესაბამისად მოქცენენ რუსებიც – არც სტალინი ახსენეს და არც ის ქართველები, რომლებიც სტალინს ვგვრდით ვგვანო.
- ჩვენ იმდენი ადამიანი შევიწირეთ დიდ სამამულო ომს, სტალინის ფაქტორიც რომც არ იყოს, ისედაც უნდა ვამაყობდეთ ქართველობით, მაგრამ ასე არ ხდება. ჩვენ თუ არ დავაფასებთ ჩვენსას, სხვა არ დავაფასებს. რუსეთში არიან ძალები, რომლებსაც ქართველებს კარგად ყოფნა სუ-

ლაც არ უხარიათ. ეს ჩვეულებრივი მოვლენა არ არის. თუ პროცესები იმავე მიმართულებით წავიდა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვერ მოვახერხებთ. დამისახელონ, რომელიც ქვეყანა გვიბრუნება ტერიტორიის აღდგენას.

- **ამერიკული ინსტიტუტების მიერ ჩატარებულ კვლევებში დაკარგული ტერიტორიების პრობლემა რატომ აღარ ჩანს? მიზანმიმართულად ცდილობენ, დაგვაგვიწყონ?**
- რასაკვირველია, სწორედ ეს მიზანი აქვთ. თაობები იზრდებიან, რომლებსაც აფხაზეთი არ უნახავთ და ჩვენ არც ვასწავლით ამ კუთხის ფასსა და მნიშვნელობას.
- ტერიტორიული მთლიანობა რუსეთთან ურთიერთობის გარეშე არ აღდგება, მაგრამ პირდაპირი კონტაქტი აფხაზეთსა და ოსებთან აუცილებელია. ამას სულ ვამბობ და ვამყარებ არასოდეს მომეზრდება.
- დღეს ვინც იტყვის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილმა დაიწყო, მტრად მიიჩნევენ. ომი სააკაშვილმა დაიწყო, იმ სისტემამ დაიწყო, რომელსაც სააკაშვილი ემორჩილებოდა. მას ზურგი რომ არ ჰქონოდა, ომს ვერ დაიწყებდა. ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ამ საკითხზე საჯაროდ საუბრობდნენ, დაივიწყეს, იმიტომ, რომ არავის სურს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და რუსეთთან ურთიერთობები დათბეს.
- ჩვენი პოლიტიკოსები გაბედებენ, აფხაზეთსა და ოსეთზე უარი თქვან ევროკავშირის წევრობის საფასურად?
- დემურმა ნუ ქნას! ის, ვინც აფხაზეთსა და სამხაბლოზე უარს თქმას გაბედებს, ქვეყნის მტერი იქნება, მაგრამ, ამ მიმართულებით რომ არაფერი კეთდება, უკვე ნიშნავს აფხაზეთსა და სამხაბლოზე უარის თქმას. უცხოელები თავისი კვლევებით ნიადაგს სინჯავენ... ჩვენ, ქართველებს, მხოლოდ აფხაზეთისა და სამხაბლოს პრობლემა არ გვაქვს, უამრავი ტერიტორია ისეთი, რომელსაც, შესაძლოა, საფრთხე დამუქროს. ნახეთ, რა ხდება აჭარაში.
- **ევროკავშირთან საავტოო ურთიერთობაზე რომ საუბრობენ, რა გვაქვს ევროპაში გასატანი და რით შეიძლება, უცხოელები მოვიზიდოთ?**
- პირველი მიზეზი იმისა, რომ გასატანი არაფერი გვაქვს, სიხარმაცაა. შრომა არ გვინდა, მაგრამ რომც ვიწროვით, ევროპა საქართველოსთვის ბაზარი ვერ გახდება. რა მოგივ ბალტიისპირეთმა? – არაფერი. ბალტიისპირეთი რძის პროდუქტებით იყო განთქმული, მაგრამ ევროპაში ვერ გააქვთ, ის ნიშა დაკავებული დახვდათ და აქამდე არაფერი იცვლება. არადა, ბალტიისპირეთი თავის დროზე რძის პროდუქტებით საბჭოთა კავშირს ამარაგებდა.
- საქართველოში მცხოვრებმა ადამიანმა ვერ ის უნდა შექმნას, რაც თვითონ სჭირდება. ძალიან მწყდება გული, რომ საქართველოში ვერ გამოიხატა გზა, რომლითაც უნდა იაროს.
- **თელთ თუ არა, ბატონო ჯუმბერ, რომ სასწრაფოდ უნდა გადახედოს ჩვენი პოლიტიკური კურსი?**
- აუცილებლად და თანაც – სასწრაფოდ. თუ ხალხის აზრის გაგება

სურთ და კვლევებს ვერდნობიან, ჩავიდნენ სამხრეთ საქართველოში, შიდა ქართლში, აჭარაში, სვანეთში და გაიგებენ, რეალურად რას ფიქრობს საქართველო. რატომღაც ემინათ ევრაზიული კავშირის ხსენება. თუ ჩემი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობას ევრაზიული კავშირი აღადგენს, მე მიწა ევრაზიულ კავშირში ვუსვლა.

უვიზო რეჟიმს ვითხოვთ, რად გვინდა ევროპაში უვიზო რეჟიმი? ქვეყანა სულ არ დაგვეცვლება?

რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია. დიპლომატიური ურთიერთობა უნდა აღდგეს. ყველა ქვეყანა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დგამს ნაბიჯებს, ჩვენ კი ინტერესები არ გავაჩნია. ამერიკელებიც კი მიხვდნენ, რომ მათ მიერ ჩატარებულმა ოპერაციებმა კრახი განიცადა და რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა მოითხოვეს.

რა ხდება რამდენიმე დღის წინათ ჩვენს დედაქალაქში **ლბტ-ე**ების გამოსვლასთან დაკავშირებით, ეს ხომ ევრაზიულ კავშირში არ მოხდება?! ეროვნებას არავინ წაგვართმევს, ევროპა კი საკუთარ თავს უკვე აღარ ჰგავს.

რატომ არ აღიარებენ ქართველი პოლიტიკოსები, რომ ამერიკა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ იყენებს და სხვა ინტერესი არ აქვს.

ერთადერთი კაცი, რომელიც სიმართლეს ლაპარაკობს აქაც და რუსეთშიც, არის ალექსანდრე ჭაჭია. მოსკოვში საუკეთესო გამოსვლა ჰქონდა, დაბეჭდეთ იმ გამოსვლის ტექსტი. ის უჭკვიანესი ადამიანია. ერთ-ერთ გადაცემაში რუსეთის წამყვანი პოლიტიკოსები გააჩუმა. დიდ სამამულო ომზე იყო საუბარი. მან პირდაპირ განაცხადა, თავი გაგვანებეთ, ბოლიშს ნუ გვახდევინებთ. მერე წერდნენ, ჭაჭია აფხაზეთიდან არის და ამაში რაღაც ცუდის დანახვა უნდოდათ. დიხს, ალექსანდრე ჭაჭია აფხაზეთიდან არის და უნიკალური წარსული აქვს, საუკეთესო, ნამდვილი, ტრადიციული ოჯახის წარმომადგენელია. გადახედეთ მის პოლიტიკურ პროგნოზებს, ყველა ახლა, ყველა გამართლდა.

მსოფლიოში რამდენიმე მართლმადიდებელი ერია. უნდა ვეცადოთ, ერთმორწმუნე ერებთან ვიმეკობროთ. ისტორიკოსებს, მინდა, ვკითხო: როგორ ხსნიან თამარ მეფის რუსზე გათხოვებას? იმხანად რუსეთი, როგორც სახელმწიფო, არ არსებობდა, ჩვენ კი ოქროს ხანის ულამაზესი ქალბატონი რუსს მივითხოვეთ. არ ფიქრობენ, რომ ჩვენმა წინაპრებმა ამით პოლიტიკური ნაბიჯი გადადგეს?

ევროპაში სიარული კარგია, მაგრამ გაფითვალისწინოთ, რომ თვითონ ევროპელები დიდი სიამოვნებით მიდიან ევრაზიულ კავშირში.

მინდა, ყველას ვთხოვო, ერთმანეთს ნუ შეურაცხველოთ იმის გამო, რომ ვიდაცას ევრაზიულ კავშირში უნდა და ვიდაცას – ევროკავშირში. ჩვენმა ქვეყანამ იმდენი რამ გადაიტანა, ამაზე ჩხუბის და ამის გამო სიძულვილის დრო აღარ არის.

ესაუბრა მპა ნანყოფილი

ირლანდიაში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ვატიკანელმა კარდინალმა კაცობრიობის მარცხად შეაფასა

2015 წლის 23 მაისს, ირლანდიაში ერთსქესიანთა ქორწინების თაობაზე რეფერენდუმი ჩატარდა, რომლის შედეგების საფუძველზე, გადაწყდა, რომ ქვეყანაში დღეს მოქმედი კონსტიტუცია შეიცვლება და ერთსქესიანთა ქორწინება დასაშვები გახდება.

საინფორმაციო სააგენტო BBC-ის მიერ გავრცელებული შეტყობინებების შედეგად, ამ გულისამრევე გადაწყვეტილებას ირლანდიელთა 62-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. ეს **“ტრადიციების ერთგული”** ქვეყანა ჯერჯერობით ერთადერთია, სადაც მსგავსი საკანონმდებლო ცვლილება ფართო რეფერენდუმის გზით მიიღეს. ირლანდიის ჯანდაცვის მინისტრმა ლაო ვარადაკარმა, რომელმაც ირლანდიის ხელისუფლებაში პირველმა განაცხადა **“ამაყად”,** რომ პირწავარდნილი გვია, რეფერენდუმის შედეგები **“სოციალურ რე-**

ფორმას” შეადარა. საინტერესოა, რომ აღნიშნული რეფერენდუმი ირლანდიაში პირობის უნდად მიმდინარეობდა და 22 წლის შემდეგ გაიმართა. მომხდარს ვეტიკანიც გამოეხმაურა, როგორც ვატიკანის სახელმწიფო მდივანმა, კარდინალმა პიეტრო პაროლინმა განაცხადა, ირლანდიაში ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონება სამარცხვინო მოვლენაა და კაცობრიობის დიდი მარცხია.

“ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. ეკლესიამ მთელი ძალისხმევა უნდა მიმართოს იმისაკენ, რომ ეს მოსახერხებელია გაავრცელოს – ამ შემთხვევაში ჩვენ არა მხოლოდ ქრისტიანული პრინციპების, არამედ კაცობრიობის დამარცხების თაობაზე უნდა ვსაუბრობდით”, – განაცხადა პრესასთან საბრისას კარდინალმა პიეტრო პაროლინი.

როგორც ხედავთ, ევროპაში ჯერჯერობით ერთადერთი ნათელი წერტილი ვატიკანია, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ერთსქესიანთა ქორწინების მანიპულაციურ ტენდენციებს. ევროპული საზოგადოება კი კისრამდღა ჩაფლული გარყვნილების მორეგში. მაგრამ ყველა ევროპულ სახელმწიფოზე ამას მაინც ვერ იტყვი. მაგალითად, პოლონელებმა ამას წინათ ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს ცნობილი პოლიტიკოსი ანჟეი დუდა, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების კატეგორიული წინააღმდეგია. მაგრამ, უბედურების არის მდგომარეობის იმაში, რომ **“ერთი მერცხლის ტიკიტი”** გაზაფხულს ვერ მოიყვანს...

მე არ ვიცი, რამდენი ხანი გაუძლებენ პოლონელები **“გაპომოსექსუალებული”** ევროპის დაწოლას და შეინარჩუნებენ ქრიატიანულ პოზიციებს, მაგრამ

დანამდვილებით ის ვიცი, რომ ტრადიციების ჯერ კიდევ პატივისცემელი საქართველო არ უნდა აღმოჩნდეს ამ გადაგვრებულთა შორის, სადაც ავტორიტეტებს საკუთარი უკანალით მოვატრე ვაჭარაძეობი, ბესოკოსოები და სხვა რელიგიურად თუ ბიოლოგიურად გადაგვარებულები წარმოადგენენ!



რ. შალაგიძე



გაზეთ "ილორის" სპეციალური საგვერდო

ახალი საგამოცდო მოდელი - უმაღლესი სასწავლებლების გადარჩენის გზა



ანბანური ტექნოლოგიები - მოსწავლე ყველაზე მეტი ინტენსივობით სწავლობს მხოლოდ იმ საგნებს, რომლებსაც იგი უმაღლეს სასწავლებლებში პირველ გამოცდად აბარებს. შემდეგ ინტენსივობა თანდათან კლებულობს და ყველაზე ნაკლები ინტენსივობით სწავლობს იმ საგანს, რომელსაც ყველაზე ბოლოს აბარებს. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ახალ საგამოცდო მოდელს, ყველაფერი უკუაქედან არის შეცვლილი. პირველი-სამი სავალდებულო საგანი არის სრულიად მიუღებელი. მათ ნაცვლად უნდა ბარდებოდეს პირველი-სამი მაპროფიტებელი საგანი, ხოლო მეოთხე საგნად დღეს არსებული სამი სავალდებულო საგანიდან მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა.

მაინც რა არის ეს ახალი საგამოცდო მოდელი? ეს არაა გამოცდა, არამედ არის გამოცდა-მოდელი. 1990 წლიდან 2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლები იყო უგამოცდოდ ჩარიცხვის, მექრთამეობის, კორუფციის, ბიზნესის ერთადერთი წყარო. მასში მონაწილეობას იღებდა ყველა, დაწყებული რიგითი ადამიანებიდან - ხელისუფლების ჩათვლით. 2005 წლიდან ახალმა გამოცდა-მოდელმა ყველაფერი „მოაწესრიგა“. მექრთამეობა, კორუფცია და ბიზნესი ხელისუფლებას დაუქვემდებარა. ხელისუფლება იმდენად მოიხიბლა ადგილობრივი უწყინარი ბიზნესით, რომ ახლაც ბრჭყალებით ებღუშება უმაღლესის გადარჩენის გზას. აი, რას ვერს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი ქალბატონი მაია მიმინოშვილი, 2014 წლის 8 ოქტომბრის გაზეთ „ახალი განათლება“-ში: „ერთგული გამოცდების მოდელი-სახელმწიფოსა და საზოგადოების დაკვეთა, თუ უმაღლესი სასწავლებლის გადარჩენის გზა“.

აგტორმა სათაურშივე ჩადო ერთგვარი ფანდი, როცა ახალი საგამოცდო მოდელი და სახელმწიფოს დაკვეთა, საზოგადოების დაკვეთას მიიბა. მაშინ, როცა ახალი

გამოცდა-მოდელი და სახელმწიფოს დაკვეთა დიაგნოზურად განსხვავდება საზოგადოების დაკვეთისაგან. პირველის დაკვეთაა დროებითი ეკონომიკური მოგება, სრულიად მოუმზადებელი აბიტურიენტების, გაიოლებული ან უგამოცდოდ ჩარიცხვა და ამით უმაღლესის გადარჩენის გზა. საზოგადოების დაკვეთაა სრულიად მომზადებული აბიტურიენტების ჩარიცხვა, განსწავლული სტუდენტი-დიპლომიანი ახალგაზრდა და არა, დროებითი ეკონომიკური მოგება; ეს მოდელი გულისხმობს არა გაიოლებულ ჩარიცხვას და სტუდენტთა რაოდენობის ხარჯზე უმაღლესის გადარჩენის გზას.

„უბრალოდ, ჩვენ თუ გადავხედავთ სტატისტიკას, დაწყებული 2005 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, ძალიან გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლის რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს აკრედიტაცია“. ვერს ქალბატონი ქალბატონი მაია მიმინოშვილი.

უკონტროლობის პერიოდში, ყოველ მიტრეხულ შერობაში იხსნებოდა უმაღლესი სასწავლებლები. დროებითი ეკონომიკური მოგებისათვის და გადარჩენის მიზნით, მათ ანიჭებდნენ აკრედიტაციას. შესაბამისად, მათმა რიცხვმა კატასტროფულ ზღვარს მიაღწია. თუ წელს დამამთავრებელი კლასის ყველა მოსწავლე აიღებს ატესტატს და ყველა თუ ჩარიცხვა, მაშინ შეიძლება შეივსოს საკონკურსო ადგილების რიცხვი.

„მაგალითად, წელს 35.000-მდე აბიტურიენტი გეგმიურად და საკონკურსო ადგილების რაოდენობა 45.000 აჭარბებდა, ანუ, ყველა აბიტურიენტი რომ ჩარიცხულიყო 10.000 ადგილი, უმაღლეს სასწავლებლებს მაინც ცარიელი რჩებოდა“.

ეს სიტყვები ნათქვამია ყოველგვარი აღფრთოვანებისა და სასოქარვეთის გარეშე. ეს არის ქვეყნის ინტელექტუალური კატასტროფა, მშობლების მოტყუება და მათი ეკონომიკური გაღატაკება.

წერილი კიდევ ერთხელ ეხმინება სათაურშივე ჩადებულ ფანდს:

„თუ უმაღლესი სასწავლებელი მზადაა სრულიად მოუმზადებელი აბიტურიენტები მიიღოს, ამასთანავე აიღებს პასუხისმგებლობას, რომ ასწავლოს და ამის დასტურს იღებს განათლების სამინისტროსგან, რა აზრი აქვს ჩვენი მხრიდან ხელის შეშლას. ამ თემებზე ბევრს ვსაუბრობთ, მაგრამ წინგადადგმული ნაბიჯი, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ ჩანს.“

თუ წინადადებას პირდაპირ აღვიქვამთ, მაშინ მოცემული წინადადება აბზაციდან აბზაცამდე მხოლოდ და მხოლოდ გულის ამრევია. უმაღლესი სასწავლებლების მზადყოფნა - სრულიად მოუმზადებელი 18-19 წლის, ბეცი აბიტურიენტი მიიღოს

და მისგან განსწავლული სტუდენტი, დიპლომიანი ახალგაზრდა გამოიყვანოს, სრული აბსურდია. ასეთი რამ, განათლების ისტორიას არ ახსოვს. გავისხენოთ ერთი გამონაკლისი: ოცი წლის „აყლაყულა“ მიხეილ ლომონოსოვი, რომელიც დაწყებით კლასში დასვეს, თავიდანვე დააწყებინეს სწავლა და გახდა განსწავლული ადამიანი.

წერილის აგტორი ორაზროვნად საუბრობს, უმაღლესი სასწავლებლების მზადყოფნაზე: „სრულიად მოუმზადებელი აბიტურიენტები მიიღოს, ამასთანავე აიღებს პასუხისმგებლობას, რომ ასწავლოს და ამის დასტურს იღებს განათლების სამინისტროსგან“.

ეს ყველაფერი ხდება დღეს. უმაღლესი სასწავლებლები იღებენ სრულიად მოუმზადებელ აბიტურიენტებს და ასწავლიან. დასტურს კი აძლევენ განათლების სამინისტრო. არაფერია ნათქვამი „რას ასწავლიან“ და „რას იღებენ“. ამაზე თავად ფაქტები მეტყველებენ:

ფაქტი 1. რას ასწავლიან? ამაზე პროფესორ-მასწავლებლები, რისკის ფასად, მაგრამ მაინც ღიად აცხადებენ, რომ ხელახლა უწვეთ სასკოლო პროგრამების გაგება.

ფაქტი 2. რას იღებენ? უცოდინარ, არა-პროფესიონალ სპეციალისტებს. ამაზე უმაღლესი სასწავლებლები გვამცნობენ, რომ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია შეუწყვიტეს. ერთ-ერთ მიზეზად, 600-ზე მეტი სტუდენტის გარიცხვა დასახელდა. უნივერსიტეტის ადვოკატი სცადა ამ გადაწყვეტილების ახსნა: გარიცხულ სტუდენტებს 6 და მეტ საგანში არ ჰქონდათ გამოცდა ჩაბარებული.

სიცხადისათვის უმჯობესია ვაკეთოთ შედარება. უკიდევანო, ყოფილ საბჭოთა სიერცეში ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ერთად არ გარიცხულა ამდენი სტუდენტი, რომელთაც 6 და მეტ საგანში ჰქონდათ დავალიანება.

მიმდინარე სასწავლო წლის ზაფხულში, პრემიერ-მინისტრმა ასობით სტუდენტს გააგზავნა სასწავლებლებს საზღვარგარეთ. სტუდენტებთან შეხვედრაზე სიამაყით განაცხადა, რომ პროცესი არ შეწყდება და მიმავალი წლიდან ათასობით სტუდენტს გააგზავნის საზღვარგარეთ სასწავლებლად.

პროცესი პირდაპირ მიანიშნებს ჩვენი სტუდენტების უცოდინრობაზე. ვაქვს ქვეყანა, სადაც იმდენი უნივერსიტეტი, რომ საკონკურსო ადგილების რაოდენობა მეტია, ვიდრე აბიტურიენტი. თანაც ისეთი სახელის მქონე უნივერსიტეტები, როგორ-

იცაა - „ქართულ-ამერიკული“, „ქართულ-ევროპული“, „შავი ზღვის აუზის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ და ა.შ. ჩვენთან სტუდენტები სასწავლებლად მხოლოდ ყველა კუთხიდან უნდა მოდიოდნენ და თუ ერთეულები მოდიან, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ქვეყნებში სწავლის საფასური გაცილებით მაღალია.

„ამ თემებზე ბევრს ვსაუბრობთ, მაგრამ წინგადადგმული ნაბიჯი, ჯერჯერობით არ ჩანს“ - წერილის ამ ნაწილის საპასუხოდ, მინისტრი ბრძანებს, რომ მომავალი წლიდან შეიძლება დავამკვიდროთ უგამოცდოდ ჩარიცხვა. სამზადისსაც შეუდგენენ, წელს საატესტატო ტესტები გაცილებით გამართლებულია და პლუს ყოველს შემძლე კომპიუტერის დახმარება. აქედან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ საატესტატო და მისაღები გამოცდები მიიღებს ფორმალურ ხასიათს; გამორდება 2012 წლის შემთხვევა. ფორმალური ან უგამოცდოდ ჩარიცხვა სრულიად საკამრისია, რომ მიმდინარე წლის სექტემბრიდან სკოლებში მსწრაფლ ჩამოყალიბდეს უცოდინრობის სინდრომი. ამ სინდრომს აქვს იმის ყველაზე მეტი შესაძლებლობა, რომ აბიტურიენტთა რაოდენობამ არნახულ რაოდენობას მიაღწიოს. წელს უკვე მიაღწია - 40.000-მდე აბიტურიენტი და რეგისტრირებული. სტანდარტიზირებული ტესტირება მათ გარდაქმნის არნახული რაოდენობის სტუდენტებად.

ასეთია უმაღლესი სასწავლებლის გადარჩენის „მარტივი“ და „გენიალური“ გზა.

დღეს ხელისუფლებას აქვს ორადორი არჩევანი. პირველი - თუ ხელისუფლება ამაჯობინებს დროებით ეკონომიკურ მოგებას და დაადგება უმაღლესი სასწავლებლის გადარჩენის გზას, აბიტურიენტთა გაიოლება უნდა ან უგამოცდოდ ჩარიცხვის გზას, მაშინ მან ხელს უნდა აიღოს სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებაზე; მოემზადოს ქვეყნის ინტელექტუალური კატასტროფისათვის. მეორე - თუ ხელისუფლება შეეცდება გადარჩინოს სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება, მაშინ მან ხელი უნდა აიღოს დროებით ეკონომიკურ მოგებაზე და უმაღლესი სასწავლებლის გადარჩენის გზაზე; შეუძლია გაიზიაროს ფინეთის გამოცდილება, რომელმაც უარი უთხრა ახალ საგამოცდო მოდელს და მასთან დაკავშირებულ ყველა მანკიერ მხარეებს.

დამურ კუხალიეშივილი, ზუგდიდი, ჩხორობის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

ნორჩი დებიუტანტის ბრიგუნა

ფსიქოლოგები უკრი ეტიუდეები



ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორობის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე, 14 წლის (ოთო) მილდინანი

წვიმის კალა
სოფლის ბაგში ვარ უბრალო გლეხი, წვიმას სოფელში მოჰყვება მეხი. წვიმას ასევე მოჰყვება ელევა როგორც სიყვარულს ძლიერი დედევა. აბობოქრდება წვიმაში ზღვა და, გადააშავებს ღრუბელი ზეცას. ელევა ანათებს როგორც ლამპარი მისგან ნათდება მთაცა და ბარიც.

სიყვარულის მოლოდინი
სიყვარულის მოლოდინი არის მეტად მძიმე ფენომენი, რადგან ამ მოლოდინში შეუმჩნეველად გადიან დღეები და ღამეები. სიყვარულის მოლოდინი დარდსა და მწუხარებას ამრავლებს. ჩვენ კი მაინც მოთმინებით ველოთ...

პერ ბაბიმხელ
მე ვერასოდეს გაგიხედავ, რომ მიყვარხარ სიცოცხლის ფასად. გულში კი სისხლი დულს. ჩემს სიყვარულს შენ მაშინ გაიგებ, როცა ეს სისხლი გადადულდება, და თუ წამომცდა რამე ზედმეტი, გთხოვ, მაპატიე, ნუ გეწყინება.

მებობარი
მეგობარი გოგონა გაგიჩინე. საოცრად ღამაში იყო და ფაქიზი გული ჰქონდა. სიყვარულის განცდა უცებ დამეუფლა, მისგან კი მხოლოდ სიციფეს ვგრძნობდი. მიდიოდა დრო, ჩემს გულში ენთო ქათქათა სანთელი, სიყვარული ძლიერდებოდა, დვიდებოდა - მუდამ მასთან ყოფნა მინდოდა. დღესაც ასეა - ვოცნებობ, რომ დაეინახო მისი ღამაში თვალები, თუნდაც სიზმარში, რაც ერთნაირად ღრუბანტელის მომგვრელია ჩემთვის.

სამეობლო
საქართველოს სიყვარული ყველა პატრიოტს აბრმავებს, იმის იქით ვერაფერს ვხედავთ. სამშობლოს გასაჭირი ჩვენი ტიკილია. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლო, რომელსაც ღამის ყველგან ჰყავს მტერი ჩასაფრებული. მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობა თუ გაგვახარებს.

ვიქნებით - ამქვეყნიურ საქართველოში. არასოდეს მიგატოვებ, ისევე, როგორც შენ არ მიმატოვებ არასდროს! შენ ხომ ერთადერთი ხარ, რომელსაც ბადალი არა ჰყავს დედამიწის ზურგზე.

სიკეთე
სიკეთე და სიყვარული დიდი ნიჭია. მხოლოდ ბრძენმა იცის, თუ რაოდენ დიდი სიყვარულისა და სიკეთის მაღლი. დმერთი არასოდეს ცდება კეთილი და მოყვარული ადამიანის შეცნობაში, რადგან ეს ნიჭი სწორედ ღვთის მიერაა ბოძებული.

ბობონა
გოგონავ გნახე ღამაში, ფეხშიშველა და ნაზი მეგობრობით დავიძახე. შენ კი გული გამიბზარე მისაღება და მიზრახე.

დედის სიყვარული
დედავ, შენი სიყვარული ჩემს გულში არასოდეს განელდება. ჩვენ მუდამ ერთად

უთქმელი დამრჩა
უამრავი რამ შეიძლება დარჩეს ადამიანს უთქმელი, მაგრამ იქნება სწორედ ამაშია „სიბრძნე სიწმიდასა“?!

სე
ოთო მილდინანი



გამოსვლისას სენატში წინმართების კანონპროექტზე, რომელიც არც განხორციელდება, 86-ჯერ გაუმართეს ოვაცია (კომენტარი თქვენთვის მომინდვია - ბრ. ონანდი).

1952 წლის 14 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის დასკვნით სხდომაზე, პრეზიდენტის ბოლო რიგიდან ცენტრალური ტრიბუნისკენ კაცი გაემართა. ათასობით თვალი აკვირდებოდა მის გამოჩენას ტრიბუნაზე, თუ როგორ გამოიყურებოდა კრემლის ბინადარი, რომელსაც, ეს-ეს არის, საუბარი უნდა დაეწყო.

მცირედენი პაუზის შემდეგ **“მე კაცისაში”** თვალი მოავლო თავის **“მრევლს”** და დარბაზიც გამოერკვა. სუნთქვა შეკრულმა ხალხმა იხუვლა აღტაცებული შეძახილებით. ტაში და ოვაციები, იატაკზე ფეხების ბრაგუნე არ წყდებოდა. აღტაცებულთა ხმის ტალღა ისეთი ძლიერი იყო, რომ შენობის კონსტრუქციულ ნაწილს საფრთხე შეექმნა. დამანგრეველი ტალღა, არათუ მცირდებოდა, თანდათან ძლიერდებოდა. ბელადის ხელის მოძრაობა ვერ აკაგებდა ხალხის ემოციებს. ხალხის ექსტაზი ნახევარ საათში მეტხანს გაგრძელდა. სტალინიმ მიკროფონი გაიწვორა და დარბაზიც გაირინდა, თითქოს მკვდრების ქალაქად გადაიქცა. დინჯი, დაგუდული ხმით გაისმა წარმოთქმული მრავალგზის მოსმენილი სიტყვა: **“ამხანაგებო!”**.

თორმეტი წუთის განმავლობაში იღვრებოდა ყრილობათა სასახლეში სიბრძნე და სიყვარული, ცხადდებოდა დედამიწაზე მცხოვრები ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიადი პროგრამა. სტალინიმ დაანახვა და აუხსნა ხალხებს, როგორ უნდა აიღონ ბურჟუაზიის მიერ ტალახში გადაადგმული ეროვნული დამოუკიდებლობის დროშა და როგორ გაუძღვნენ მასებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

“თორმეტი წუთის განმავლობაში ყრილობის დელეგატებმა თერთმეტჯერ შეაწყვეტინეს თავიანთ ბელადს სიტყვა ტაშითა და ოვაციებით” (ყრილობის მონაწილის - მისეილ ციხისათვის მონათხრობიდან. - ბრ. ონანდი).

ბარაკ ობამას კი თავისი სულელები

გამოსვლისას სენატში წინმართების კანონპროექტზე, რომელიც არც განხორციელდება, 86-ჯერ გაუმართეს ოვაცია (კომენტარი თქვენთვის მომინდვია - ბრ. ონანდი).

ბატონო ალექსანდრე, ინტერნეტში ვნახე თქვენი გამოსვლის ვიდეოჩანაწერი **“პაკ-ლონაია გორაზე”** გამართულ ფორუმზე. პირველი შთაბეჭდილება ისეთი დიდი იყო, რომ აზროვნების უნარი დაგკარგე - მისტრიკურ სამყაროში აღმოვნიდი. თითქოს 67 წლის წინათ ნათქვამი სიტყვები გალაქტიკიდან უკან მოაბრუნეს და ახლა ყურში ჩამეხმის - შინაარსით, ხმით, დიქციით, სუნთქვითა და სიდიდით. უკან ვაბრუნებ კადრებს და დაჟინებით ვუყურებ და ვუსმენ. ეს ის არის... არა, ეს ის არ არის. არის თუ არ არის?! ვარ თუ არა საღი და ვაზროვნებ თუ არა სწორად - აი, ამას ვარკვევდი და თვალი ვიდევლიყვის ბოლოს არსებულ ჩანაწერზე გამექცა. ორი საათის წინათ დადებულ მასალას უკვე 600-ზე მეტი კომენტარი ჰქონდა. ვითხულობდი და ცრემლს ვერ ვიმაგრებდი. ნუთუ კიდევ განდაქვეყნაზე კაცი, რომელსაც ხალხი სტალინს ადარებს?! 600 ადამიანიდან, რომლებმაც კომენტარი დატოვეს, 47-ს უშუალოდ სტალინს ავონებს თქვენი გამოსვლა და ამით ბედნიერია. 115 რესპონდენტზე მეტს ასეთი შეფასება აქვს: **“მოლოდენე, გრუზინე!”**

ბატონო ალექსანდრე, ვამაჟობ თქვენი ქართველობით, თქვენი ცოდნითა და გამბედაობით, რომლითაც მიუახლოვდით მსოფლიო პოლიტიკის აბსოლუტურ ჩემპიონს, საქრთაშორისო ორთაბრძოლების დამსახურებულ ოსტატს - გორელ იოსებ ჯულაშვილს. თქვენ უკვე ვაღივებული ხართ, აიღეთ ხელში ჯვარი და ხმელი - იბრძოლოთ დემოკრატისა და ხალხის სახელით **“საშინელი სამსჯავროდან”** ქვეყნის დასახსნელად. თქვენ არწივს კვერცხიდან გამოჩეკილი ხართ, მყინვარწვერზე კი მვაჟყორანი დაბუდებულია.

თქვენი გამოსვლით ქართულმა **“ჯულაშ”** კვლავ გაკვესა ნაპერწკალი, მგონი, კვლავ

იკვება და ილესება ქართული ფოლადი, ნუთუ დადგება დრო შეძახილისა: **“ქართველო, ხელი ხმელს იკარ”**.

“ნურც გვენახოს, მყინვარწვერს მტრის მახვილი წვდებოდეს და არწივთა ნაბუდარს ყვაყვორანი ჯიჯვნიდეს”.

მეამართავ ქართულ დიასპორას: თუ არ გინდათ, იქცეთ საქართველოს დამაქცევაპირი მეწვეიკური მთავრობის ადგილმონაცვლედ, გაერთიანდით ალექსანდრე ჭაჭიას გარშემო და შექმენით საქართველოს ამერიკისგან ხსნის ერთობლივი კომიტეტი. თქვენ გაქვთ საკმარისი მეტი ინტელექტი და ფინანსები, რომლითაც შესადლებელია, შექმნათ რეალური შანსი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც დაკავშირებული იქნება ქრისტიანულ სამყაროსთან და უფრორე - ერთობრწმუნე რუს ხალხთან, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება გვაკავშირებს.

ჩვენ, ქართველები, ყოველთვის ვიყავით რუსული პოლიტიკის მწვერვალებთან ჩვენს წიაღში აღზრდილი გამოჩენილი ადამიანებით: სტალინით, ივანოვით, ლავროვით, შვეკუნდინდინით, პრიმაკოვით, ლავრენტი ბერიათი და სხვა მრავალი.

ჩვენ, ქართველ ხალხსა და პოლიტიკოსებს, რომლებსაც ცხოვრება პატარა ქვეყანაში გვიხდება, შემოტერილი გვაქვს უცხოური დაზვერვისა და აგენტურის მარწუხები, არ გვაქვს თავდაცვისა და წინააღმდეგობის გაწევის არავითარი საშუალება. ამიტომ იმედის თვალი თქვენკენ გვაქვს მოპყრობილი და, თუ თქვენ არ ხართ თავგერა და ვიწრო პირადულ ინტერესებში ჩაკეტილი, კიდევ ერთხელ გთხოვთ: დაგვიბრუნეთ კავკასიონის ქედებიან გატაცებული ამირანი, შეაჩერეთ საზღვარგარეთ ქართველი ბიჭების გათხოვება, აღადგინეთ მორალური კოდექსი ქართულ ოჯახში!

მართალია, მე თქვენ ვერ გხედავთ, მაგრამ **“მე ხედავ მზეს”**.

პატივისცემით,

ბრიგოლ ონიანი

ლაშა ამირეჯიბი: „სააკას არ სძინავს! უხიზლად უნდა ვიყოთ, რუსების ალორძინება ნაცვების დაბრუნებას ნიშნავს!”

ქვეყანაში შემწილი სიტუაციაზე, ბიძინა ივანიშვილისა და **“ნაციონალების”** ურთიერთობაზე „ივერიონის“ საკუთარ მოსაზრებებს უხიარვებს ლაშა ამირეჯიბი:

„პოლიტიკური ნაბიჯები გადადგმულია, ანალიზის დრო დადგა. ამ ანალიზს დიდი ცოდნა არ უნდა, დაკვირვება საჭირო, ამიტომ ჩემს მოსაზრებებს გავიხიარებო.

აშშ-ს ელჩის, ბ-ნი ნორლანდის, ქმედებებით ჩვეულ ქართულ პოლიტიკურ არეულობას წერტილი დაესვა. რუსებს ნააბარეს ჯარი, ეკოლოგია, შერიგებისა და სამოქალაქო, ანუ საქართველოში. დაითვაღეთ ახლა, ჭკვიანური მოქცევი, რამდენ ხმას წამოიღებთ აქედან რუსპუბლიკური პარტია. ის, რომ ხიდაშელი ბაღეტიკებითა და ნათხოვარი ქურთუკით ჯარისკაცების მწვერივს ელაპარაკებოდა, შესანიშნავი მიზეზი იქნება მომავალი პიარისთვის. გაივლის ცოტა ხანი, გაერკვევა ხიდაშელის სიტუაციაში და მოძეების ჩაცმის ვარიანტსაც, მომართვის ტექსტსაც და ხმის ტემბრსაც.

რუსები დიდი საქმის მკეთებლები არ არიან, მაგრამ პიარში მათ სააკაშვილი თუ გაუტოლდება. რამდენად დავეკავშიროთ ეს ცვლილებები ბ-ნი ნორლანდის აკვირებას? დავაკვირდეთ, ამერიკელების ნაბიჯებს ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში. მათი პირველი მოთხოვნა - კოპაბიტაციაა, რაც პოლიტიკური ნიშნით დევნას ააცილებდა ნაცებს. გემასოვრებათ, რომ ივანიშვილმა პაუზა აიღო, აქცენტი გადაიტანა ეკონომიკურ და ყოფით პრობლემებზე. აშკარად დროს იგებდა, რადგან უიცი პროკურატურა თითოდან გამოწვივდა ბრალდებები ბოლო ნაცებს დაერია. აი ამ დროს კი, ღია თამაშიდან გასვლა დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. მთავრობაში დარჩენილებს ზოგს ცოდნა, ზოგს გამოცდილება, ზოგსაც პატიოსნება არ ეყო. ქვეყნის მართვის მაგივრად კინკლარა, პროცენტობინა და **“ხალიავა”** პურმარიღები დასცხეს. ნაციონალებმაც არ დააყოვნეს ამათი **“წაქეზება”** და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: ღარი დაქცა, ფასები გაიზარდა,

ხალხი აბობქრდა. ამასობაში ელჩს ვადა ეწერება და ასეთ მდგომარეობაში ქვეყანას ვერ გადააბრუნებდა შემცველებს. ვისზე უნდა დაელოდოს, თუ ოცნებამ **“ჩაისვარა”**? ალასანიას გუნდმა კი არა საქმიანი ოპონირება, არამედ პოლიტიკური კინკლაობა დაიწყო!

შემგველო ჭიორი სჯობია შეუჩვენებლს! უკვე ვხედავთ სააკაშვილს კივში, ბაქოსა თუ რიგის სამიტზე. გააცოცხდეს მომაკვდავი სული, მაგრამ ჯერჯერობით რუსების თვალთვალის ქვეშ. ახლა ხომ დაიჯერებთ, რომ უსუფაშვილ-ხიდაშელის ტანდემი კივში სააკაშვილს შეხვდა. ძნელი მისახვედრი არც ის იქნება, რაზე მოილაპარაკეს.

ხიდაშელის დანიშვნის შემდეგ, ამერიკელებმა ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება დაიწყეს. ამიტომ ღარის კურსსაც მყისიერად მიხედეს. ბევრისთვის უცნობია, რომ დოლარში ყველა გადარიცხვა ამერიკის ბანკების გავლით ხორციელდება. ინფორმაცია კერძო ბანკების საგაულტო გადარიცხვების თაობაზე, რასაც ეროვნული ბანკი არ ფლობს, ამერიკელებისთვის ცნობილია. როგორ ფიქრობთ, ტყუილად დაიწვება კალაძე **“საქართველოს”** და **„თი-ბი-სი“** ბანკებზე ლაპარაკს? აბა კვითხეთ სპეციალისტებს, არსებობს თუ არა ვალუტის ასეთი ტემპით გამეფების რაიმე ეკონომიკური მაგალითები? ნორლანდმა დააღწია სიტუაცია და **“სუფთა სინდისით”** დატოვებს ქვეყანას. მაგრამ რჩება ერთი რამ, რაც არა მხოლოდ მე, არამედ მთელ საქართველოს აწუხებს: ამ ყველაფერში რა ადგილი მიუჩინეს ბიძინა ივანიშვილს?

ნაბიჯი, რომელიც ბიძინამ გადადგა და რუსების აღორძინებას შეუდგა, გარკვეულმა პოლიტიკურმა და არა მხოლოდ პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია. დღეს როგორც არასდროს იგი უმძიმეს მდგომარეობაშია, რადგან დიდი წნეხის ქვეშ იმყოფება. დასავლეთის **“კაპრიზის”** არ შესრულების შემთხვევაში, სავარაუდოდ, მას აიძულებენ დათმოს ბევრი

რამ. შესაძლოა ქვეყნიდანაც წასვლა მოეწოდოს... გაანჩინა რა შემოთავაზება ქმნება მას და რას დათანხმდებოდა იგი. შეუიარაღებელი თვალთვალ კი ჩანს, რომ ივანიშვილის როლი ახალ პოლიტიკურ სცენარში არ უნდა იყოს გაწვივტილი. ჩვენი **“სტრატეგიული პარტიონები”** გამაღებით ცვლილებები ივანიშვილის პოლიტიკური ედლოდან გაწვევას, რასაც თან მოჰყვება მისივე ხელითა და სურვილით მოყვანილი უნიათო და ცბიერი ხელისუფლება. ის ნებსით, თუ უნებლიეთ ბ-ნი ბიძინას საწინააღმდეგოდ, ზოგჯერ საბოტაჟის დონეზეც, მოქმედებს. ახლა დადგა განსაცდელის დღე ქართველებისთვის: ან მხარში უნდა ამოუდგეთ იმას, ვინც უზარმაზარი რისკის ფასად ქვეყანა იხსნა ნაცების 10-წლიანი ჯოჯოხეთისგან, ან მორჩილად მივევთ ნაციონალ-ბოლშევიკურ დინებას და ნეო-ლიბერალურ პრანჭვის აპოლოგეტებს მივუბაროთ ჩვენი შვილები. რესპების უკონტროლო გაძლიერებიდან ერთი ნაბიჯი რჩება ნაცების რეინკარნაციამდე. ანუ 2016 წლის არჩევნებზე შესაძლოა პარლამენტში ვიხილოთ რამდენიმე პოლიტიკური დაჯგუფება **“2%”**-ნი რესპუბლიკელების თაოსნობით. ამიტომ მოსაფიქრებელია ჩვენი გადარჩენის ერთიანი გეგმა. პირველ რიგში მავანს უნდა გავაგებინოთ, რომ ხალხი იმით კი არ არის განაწყენებული, რომ ივანიშვილმა ვერ შეხდლო ყველა საქართველოში მოქალაქისთვის თითო მილიონი ევოშქაშა და ყველა საარჩევნო დაპირების შესრულება, არამედ იმით, რომ ილიტებს და უწივნურებს ნააბარა ჩვენი ქვეყანა სამართავად. ნაწყენები ვართ იმითაც, რომ მის მიერ მამა-სისხლად მოპოვებულ გამარჯვებას წიხლთ ჯგუფს ფულზე დახარბებული უჯიშო პირუტყვი.

ბოლოს მიხდა ერთი ამბავი შეგახსენოთ. მან, ერთმა კაცმა, სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს დაუსვა წერტილი! სააკას არ სძინავს! ფზინიადა უნდა ვიყოთ, რესპების აღორძინება ნაცების დაბრუნებას ნიშნავს! დაუფიქროთ მავანს, რომ ჩვენს გარეშე ჩვენ ბედს ვერავინ გადაწყვეტს!!!

პოეზიის ტურნე

შარიატივაბი გამინისტრავულ პოლიტიკოსზე

ცოლქმრული ტანდემი
ხალხს რომ უშველონ, რადგან მითია,
თინაც ის არის, რაც დავითია.

„კოლი“ და კოლიტიკა
უკვე გაბრწყინდა „პოლი“ თიკოსი;
მინისტრად გახდა პოლიტიკოსი!

შეშნატრი კაკას ხიღღაშელელს
ფიქრი, რომელიც დაბადა სოფელ ქარქოსაანიდან ადამიანის მორიგ გატაცებასთან დაკავშირებით კაკაბეთელთა რძლის, ქვეყნის თავდაცვის მინისტრის, ქალბატონ თინა ხიღღაშელის განცხადებაში.

ქარქოსაანიში ვინ ვის მტრად დარჩა და, ხვალ რა მოხდება, დაგვიმისიჯე მინისტრმა, რადგან ქვეყანა ოხრდება.
– კვლავაც მოგვტაცეს კაციო, – ბრძანდა მე მშვიდად განგარძე: – ვერ დაეჯივით, მას ვინც ტაცეობს, უფრო აგვიკლებს ხვალ და ზეგ. მახსოვს, ლენცოფა აკაფეთ, ქვეყანას აზანზარებდით, ახლა რა მოგვით კაკაბეთო, რატომ დუმს სოფლის ზარები? აგურისა და მინის მტრად ვინც სამაჩაბლო აქცია, შენს დასმას ქვეყნის მინისტრად რად თვლის შოუს მსგავს აქციად? და სკამი რად გიხარია ქალბატონ თინა ხიღღაშელს, – ჩაიღური ვინც დალია, თუ ვერ გცნობს კაკას ხიღღაშელელს?!

სათრეველები ოთხთა თემაზე

თალლითური კვანძი
ახლა მხოლოდ არა კაცი, – მყინვარიც და არაგაციც, კითხულობენ: 4 „ნაცი“
დღისნ ნუთუ კვლავ გადაგვაცდის? ჯამი დადგა ძალზე ბაცი, პასუხისთვის ფიქრს არ გვაცდის: ეს თალლითი 4 „ნაცი“,
ამ თამაშით, ნეტავ, რას ცვლის?

გველი უბეში
არც ქართველმა, არც სომეხმა, არც ქურთმა, არც იეზიდმა, მასონების ფულის ძალამ ქვეყნის ცოდვა რადგან ზიდა, სააკაანთ მიხოს ბანდა რაღას უნდა მიუხიდა? სოქულვილის გველს უბეში სხვა მათებრ ვინ გამოზრდიდა?

ალექსანდრე შენბელია



იავეტური თუ ქართველური, ანუ რატომ გახდა სავსო ქართველური ენების არსებობა და მართლაც არსებობენ თუ არა ისინი

„პატივი ეც დედა ენას შენსა... და ისწავლიდე მათ და ძმა ენათა მისთა და კეთილ გვეოს შენ“

ნ. მარი

რაკი სემი, ქამი და იაფეტი ნოეს შვილები არიან, სემიტურ, ქამიტურ და იაფეტურ ენებს შორის, მათი ასაკის მხრივ დიდი განსხვავება არ უნდა იყოს, მაგრამ, უფრო საყურადღებოა შემდეგი გარემოება: მითი ნოეს კიდობნის (მაშასადამე, მსოფლიო წარდენის) შესახებ, კაცობრიობის ისტორიასთან მიმართებაში არც თუ ისე დიდი ხნით აღრინდელია, ვინაიდან, მეცნიერები ატლანტიდის დაღუპვას 10.000 წლის წინანდელ ფაქტად მიიჩნევენ; ენის ასაკი კი, დედაამიწაზე, ამ უკანასკნელ დრომდე 1 მილიონი წლით განისაზღვრებოდა.

ამ მოსაზრებაში დიდი კორექტივი შეიტანა იმ ფაქტში, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, დმანისის რაიონში ნაპოვნი პირველყოფილი ადამიანების - ზეზვას და მზიას (როგორც მათ ინგლისელმა მეცნიერებმა პირობითად შეარქვეს), ასევე სხვათა (შემდგომში აღმოჩენილთა) ასაკი განისაზღვრა 1 მილიონი 800 ათასი წლით.

ამის მიხედვით, დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალზე პირველყოფილ ადამიანებს უცხოურადაც დაახლოებით 2 მილიონი წლის წინათაც კი (ვინაიდან ზეზვა და მზია მაინცდამაინც ადამი და ევა არ იქნებოდნენ).

ადრე, სხვაგან აღვნიშნავს და აქაც გაემეორებო, რომ ამჟამად დედაამიწაზე არსებული 5.445 ენიდან, ადამის ნაშთს „ადამიანს“ ეძახიან ქართველ-ქართველურ ენებში, რომელთა ასაკი, ფილოლოგიური თვალსაზრისით, როგორც ვედავთ, დაახლოებით 2 მილიონ წელს ითვლის. ამჯერად, საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა, აქვე მოვუხმოთ შემდეგ ფრიად საინტერესო ცნობები:

„დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი (V ს. ძვ. წ.) წერდა, რომ უძველეს დროში იყო ქვეყანა ატლანტიდა, რომელიც გლობალური კატასტროფის დროს განადგურდა და იბერები (ბასკები) ამ კუნძულზე გადარჩენილი ხალხები არიან“ (რ. ერისთავი, კურნ. „აია“, 2000, 9, 14).

ცნობილი ბერძენი სწავლული სტრაბონი (I ს. ძვ. ს. - I ს. ახ. წ.), რომელიც მისივე თქმით კოლხი დედის შვილი იყო, გადმოგვცემს, რომ „აღფაბეტი მზიის ტომს მიღებულ აქვს ატლანტიდაზე მცხოვრები და გადარჩენილი კოლხი ხალხისაგან“-ო. მზიას ტომი, როგორც ცნობილია, ცხლოვობდა ცენტრალურ ამერიკაში, თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე და ფლობდა გარკვეულ კულტურას. სწორედ მათი გაანგარიშების მიხედვით მოედლოდნენ, გარკვეული შიშით, მსოფლიოს მეცნიერები და ხალხები, რომ დედაამიწას დაუპირისპირებოდა ერთი დიდი კოსმოსური სხეული და შესაძლოა დაჯახებოდა კიდევ მას, რაც კატასტროფას გამოიწვევდა. დანიშნულ დროს დედაამიწას მართლაც დაუპირისპირდა ციური სხეული, მაგრამ, საბედნიეროდ, დაახლოებით ერთი მილიონი კილომეტრის სიშორეზე ჩაუქროდა და დედაამიწა მისალოდნელ კატასტროფას გადაურჩა (ეს სხვათა შორის).

ამრიგად, ყოველგვარი ზედმეტი კომენტარების გარეშე ცხადია, რომ შემდგომში კოლხებად წოდებულ ხალხს დედაამიწაზე ჯერ კიდევ 10.000 წლის წინ ანუ მსოფლიო წარდენამდე დიდი ხნით ადრე უცხოვრია და შეუქმნია საკუთარი დამწერლობა და კულტურა.

მაშასადამე, ენათმეცნიერებაში აქამდე დამკვიდრებული მოსაზრება, თანამედროვე ენების ასაკის დაახლოებით 10.000 წლით ხოლო ქართველური ენების ასაკის 4-5 ათასი წლით განსაზღვრის შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს.

სხვა რომ არა იყოს რა, ქართველური ენების, და, კერძოდ კოლხური ენის ასაკის 4.000 წლით განსაზღვრავზე ლაპარაკი კი უხერხულია მართო იმ ფაქტის გამო, რომ თანამედროვე ქუთაისი (ქუთუმი), 3500-ქლოვანი ქალაქია, და, რომ უწინდელი ქალაქი აია, ქუთაია ჯერ კიდევ 3.500 წლის წინ იყო დედაქალაქი ძირძველი კოლხეთის და ამიტომაც იგი იუნესკოს მიერ შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში (ქუთუმი იგივეა, რაც ქუთაისი, ქუთაია-სი ქუთა-ის-ი; ქუთა, ქუთაია, ქუთარი ოდიტანდელი კოლხური, მეგრული

სახელებია). ამიტომაც ვუწოდებთ, ჩვენ, მეგრულ ენას ადამიანური ანუ ადამის დროინდელი ენა (ფილოლოგიური თვალსაზრისით) ენა, იგივე ადამის ენა (იხ. მ. ძაძაძია, ც. ძაძაძია, „ჭეშმარილება და მხოლოდ ჭეშმარიტება“, თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, სათაურტექსტო: „მოკლედ მეგრული ენის, ქართველური ენების, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის ასაკისა და გენეტიკური კავშირთა თვითობის შესახებ“, გვ. 76-145).

ამიტომაც ჩავთვალეთ (პირობითად), რომ იაფეტური ენა სწორადაც პირველქმნილი ენაა დედაამიწაზე, ხოლო მეგრული ენა სწორხაზობრივი გაგრძელებაა იაფეტური ენისა, იმდენად, რამდენადაც იაფეტური ენის უშუალო გაგრძელებაა ივერიული (იბერიული) ენა, შემდგომში, - კოლხური ენა.

რაც ამჯერად ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, მეგრული, ლაზური (ჭანური), სვანური და საკუთრივ ქართული ენები წარმოადგენენ სწორედ იაფეტურ ენებს. ესე იგი, ქართული (საკუთრივ ქართული ანუ ქართლური) ენაც ისეთივე იაფეტური ენაა, როგორც მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური ენები, ოღონდ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დიალექტური საწყისიდან (იაფეტური ენისა) წარმოშობილი ენები.

მაშასადამე, არავითარი ქართველური ენები ბუნებაში არ არსებობდნენ, არამედ არსებობდნენ და დღემდე არსებობენ იაფეტური ენები.

სწორედაც ეს იაფეტური ენა იწოდება, პირობითად, ენათმეცნიერებაში, პროტოქართულ ენად, იგივე პრეპროტულ ენად ანუ წინარეპროტულ ენად.

ყოველივე ზემოაღნიშნული თუ აღუნიშნავი შეჯამებულად და მოკლედ რომ ვთქვათ, ფაქტები იმის შესახებ, რომ: 1) საქართველოს მიწა-წყალზე, კერძოდ, დმანისის ტერიტორიაზე ნაპოვნი ჩონჩხები პირველყოფილი ადამიანებისა (და არა ნეინდერტალელებისა, პითეკანტროფების და მისთანებისა), რომელთაც ინგლისელმა მეცნიერებმა პირობითად ზეზვა და მზია უწოდეს და რომელთა ასაკი დაახლოებით, 1 მილიონ 800.000 წლით განისაზღვრა (ადამიანი კი, როგორც ენათმეცნიერება აღიარებს, - ეს არის მეტყველი, მოზოროვნე და გონიერი არსება); 2) ადამისა და ევას ნაშთებს „ადამიანი“ სწორედაც ქართულ-ქართველურ ენებში ეწოდებათ, 3) ერთ-ერთი ქართველური (ასეთად წოდებული) ენის - მეგრული სლექსიკა მოიცავს კოლოსალურ, დიას ფანტასტიკურ სიმდიდრეს, - ითვლის 14 მილიარდზე მეტ სიტყვას პარალელურ, ისეაიზად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმების თვით, საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტ-ნაკლები სისშირით ხმარებადი, ანდა შეიძლება ხმარებულ იქნას 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა.) მეგრული ენის მთელი ამ ლექსიკის 99, 2 პროცენტი ხმობადივით წარმომავლობისაა, - საფუძვლიანდება 1868 პირველქმნილი ხმობადივით ძირისეული თანხმონური ფორმისაგან და მიღებულია ამათი აფიქსაცია-გრამატიზაციით (იხ. ჩვენი ოცენომეული და მრავალათას-ტომეული, რომელთა კომპიუტერული ვერსიები ინახება ჩვენს, - იგივე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს, - ბიბლიოთეკაში და დანეტრესებულ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია ნახოს), გვაძლევს სრულ უფლებას განვაცხადოთ, რომ მეგრული ენა მისი გენეტიკური (ფილოგენეტიკური) წარმომავლობის თვალსაზრისით, წარმოადგენს ადამიანურ ენას ანუ ადამის დროინდელ ენას, იგივე, ადამის ენას.

ამჯერად, მოკლედ შემდეგ ფაქტზეც ადრე იყვნენ და დღესაც არიან ცალკეული ავტორები, რომლებიც აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ უმჯობესია, ანდა მიზანშეწონილია, მაგალითად, მეგრულ ენას ერქვას იბერიული ენა, ან კიდევ, საქართველოს ერქვას იბერია და ა. შ. ამგვარება გამო, როგორც ცნობილია, თავის დროზე აკ. შანიძე შეეცადა საქართველოსთვის გამოენახა ისეთი სახელწოდება, რომელშიც ასახული იქნებოდა ქართულიცა და კოლხურიც, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. ეს გასაკვირი არც არის.

როცა საკითხი ამა თუ იმ ენას, განსაკუთრებით, უმწერლობო ენას ეხება, მისდამი არსებული დამოკიდებულების

მიხედვით, ჩვეულებრივ, მტვიფნეული ვითარება ვლინდება. ამ მხრივ გამოჩენილს მეგრული, სვანური და ლაზური ენებიც არ წარმოადგენენ. ამიტომაც ამ ენების დაცვის მისწრაფება მათი მფლობელი ხალხების მხრივ დასაძრახი, მით უმეტეს, მიუღებელი როდია, მაგრამ არც წინდაუხედავი მოთხოვნების წამოყენებაა მისაღები.

ენის საკითხი ძალიან დელიკატური საკითხია და მისდამი დაუფიქრებელი და სახიანი შედეგის მომტანი მიდგომა უთუოდ დაუშვებელია.

ენა ცოცხალი ორგანიზმია. იგი იბადება, ვითარდება და კვდება კიდევ, ვინ იცის, აქამდე რამდენი ენაა გამქრალი მიწის პირისაგან. შორს რომ არ წავიდეთ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გაქრა, ლათინური ენა. მას ახლა მხოლოდ აფთიაქებში იყენებენ. მე-20 საუკუნეში იქცა მკვდარ ენად უძიხური ენა.

როგორც ჟურნალ-გაზეთებში წერდნენ, 21-ე საუკუნის ბოლოსათვის დედაამიწაზე დარჩება მხოლოდ მსოფლიოს ენების 10 პროცენტი, დანარჩენი კი გაქრება.

„გლობალიზაციის ნაკლი ის არის, რომ იგი მთლიანად ან თითქმის მთლიანად სპობს ყოველგვარ ეროვნულს“ (პოლ ა. სამუელსონი, ვილიამ დ. ნორდაუსი, - ნობელის პრემიის ლაურეატები, აშშ, მათივე წიგნიდან „ეკონომიკა“, თბ., 2000).

ასეთ ვითარებაში, ცხადია, პირველ რიგში გაქრობა მოელოს მცირერიცხოვანი ხალხების ენებს, კერძოდ, უდამწერლობო ენებს.

ამიტომაც არსებობს საერთაშორისო (მ. შ. ევროსაბჭოს) კანონები, რომლებიც იცავენ ამ ენებს. ამ კანონების მიხედვით ყოველ ხალხს აქვს უფლება, ილაპარაკოს და წეროს საკუთარ ენაზე, და, ჩვეულებრივ, ეს ასეც ხდება. ასე, მაგალითად, ესპანეთში ლიტერატურა არსებობს 6 ენაზე, მათ შორის, ბასკურ ენაზე, მაგრამ მათი ავტორები, როგორც წესი, იწოდებიან ესპანელ მწერლებად. ასევეა საფრანგეთშიც და სხვაგანაც. ჩინეთში, საერთო ჩინურ ენასთან ერთად, არსებობს მრავალი ჩინური ენა; აქ, ხშირად, მეზობელი სოფლების ხალხების ენები ერთმანეთისთვის გაუგებარია.

ისტორიულად ასე ხდებოდა: მონათესავე ენებიდან და წინაურდებოდა ხოლმე ერთ-ერთი მათგანი და იქცეოდა საერთო სახელმწიფო, საეკლესიო და სამწერლობო ენად. ეს ასეც ხდებოდა, მსგავსად იმისა, ძმებს შორის რომ ერთ-ერთს უწევდა ხოლმე მეფობა, რაც სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ მას დანარჩენი ძმები უნდა დაესცლა.

ამიტომაც, დედაამიწაზე დღეისათვის არსებულ 200-მდე სახელმწიფოში, პრაქტიკულად, არსებობს 5.445 ენა.

მართალია, რაც ქვეყნებში სახელმწიფო ენად აღიარებულია რამდენიმე ენა, მაგრამ, მსოფლიოში იმდენი სახელმწიფო ენა და სახელმწიფო რომ არსებობდეს, რამდენი ენაც არის დედაამიწაზე, ადვილია წარმოსადგენია, თუ რა ქაოსს ექნებოდა ადგილი.

ცხადია, ამა თუ იმ ენის მატარებელი ხალხის მისწრაფებაც და მოთხოვნაც, რომ ლაპარაკობდეს და წერდეს საკუთარ ენაზე, სათაკილო, მით უმეტეს, მიუღებელი როდია. ასეთი რამ სრულიადაც არ ნიშნავს სეპარატიულ შეხედულებასა და ქმედებას, როგორც, მას, სამწუხაროდ, ფსევდოპროტოტი ადამიანები განზრახ აფასებენ თავიანთი ქვეანაგრძობების კარნახით.

როგორც ენათმეცნიერება გვასწავლის, დიდი ენა ანუ დედაენა დიდ მდინარესა მგავს: როგორც დიდი მდინარე იგვებება და იზრდება შენაკადებით და დაშრებიან რა ისინი შრება დიდი მდინარეც, დიდი ენა საზრდობს და ვითარდება მონათესავე ენებითა და დიალექტებით და გაქრებიან რა ესენი, წყდება განვითარება დიდი ენისა და კვდება ისიც.

ამ რეალობის შეუცნობლობა და გაუთვალისწინებლობა სრული უგუნურება, ბორბება და ერის შეგნებელი დაღატოა.

ენა, რომელზედაც არაფერი იწერება, რომელიც არსად ისწავლება და მხოლოდ შინ სალაპარაკოდ (იხივ კანტი-კუნტად) გამოიყენება, განწირულია დასალუპაად. ასეთებს წარმოადგენენ დღევანდელი მეგრული, სვანური და ლაზური ენები. ცხადია, მათი გაქრობა მიწის პირისაგან, ავტომატურად გამოიწვევს საერთოქართული ენის დაკნინებას და გაქრობას. ამიტომაც, ცამდე მართალი არიან ისინი,

ვინც მოითხოვენ მეგრული, სვანური და ჭანური ენების სწავლების შემოღებას სკოლების თუნდაც ერთ რომელიმე კლასში და მათი სწავლების აღდგენას უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტებზე, რაც 1999 წლიდან შეწყვეტილი იქნა.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე დავკენთ: უთუოდ მიუტყვევებელი შეცდომა იყო რუსული ენის სწავლების შეწყვეტა საქართველოს სკოლებში, და, ასევე უნდა შეფასდეს ქართულის სწავლების მოსალოდნელი შეწყვეტა აფხაზეთის სკოლებში, რასაც ამასწინანდელი სატელევიზიო ინფორმაციის მიხედვით სექტემბრის თვიდან იზრახავენ იქაური მესვეურები.

დასასრულს, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი მოკლე დასკვნებიც:

1. ენათმეცნიერების მიერ პირობითად სახელდებული პროტოქართული ენა (იგივე პრეპროტული ანუ წინარეპროტული ენა), პრაქტიკულად, სხვა არაფერია თუ არა იაფეტური ენა - პირველქმნილი ენა დედაამიწაზე;
2. იაფეტური ენა - ეს არის ადამიანური ანუ ადამისდროინდელი ენა, იგივე ადამის ენა;
3. თანამედროვე მეგრული, ლაზური (ჭანური), სვანური და ქართული (საკუთრივ ქართული) მეტყველებანი წარმოადგენენ იაფეტურ ენებს;
4. პირველქმნილი იაფეტური ენიდან, მისი ერთ-ერთი დიალექტიდან უშორეულეს კოქსში წარმოშობილია იბერიული (ივერიული), შემდგომში კოლხურად წოდებული ენა; მეორე დიალექტიდან კი, შედარებით გვიან, წარმოშობილია ქართლური (ქართების) ენა, შემდგომში წოდებული ქართულ (საკუთრივ ქართულ) ენად;
5. მეგრული, ლაზური ანუ ჭანური, სვანური და ქართული (საკუთრივ ქართული) ენები წარმოადგენენ სწორედ იაფეტურ ენებს და არა დიალექტებს ანუ კილოებს, მით უმეტეს ქართული ენის დიალექტებს, რადაც მათი დამტკიცება ზოგიერთებს სურთ;
6. მეგრული, ლაზური (ჭანური) და ქართული (საკუთრივ ქართული) ენებისთვის ქართველური ენები შერქმეულია გვიან, იაფეტურ ტომთაგან საკუთრივ ქართულ (ქართლურ) ტომთა მიერ პოლიტიკური საჯაროპროტოკოლოლების დამკვიდრების პერიოდში. აქედანვეა წარმოშობილი პირობითი სახელწოდებანი: „ქართველი“ (ზედმიწევი, - „ქართლი“), „ქართველური ტომები“, „საქართველო“;
7. იაფეტური ენის უშუალო გაგრძელება (იგივე იაფეტურ ენას) წარმოადგენს იბერიული (ივერიული) ენა, იგივე კოლხური (შემდგომში ასეთად წოდებული) ენა, ამ უკანასკნელად, ეგრეთ სახელდებული მეგრული ენა, როგორც პირდაპირი სწორხაზობრივი გაგრძელება იაფეტური ენისა;
8. კოლხური (იგივე, მეგრულ-ლაზური ანუ ზანური) ენიდან, მოგვიანებით, მიღებულია მეგრული და ლაზური (ჭანური) ენები.
9. თანამედროვე მეგრული ენა, პრაქტიკულად, წარმოადგენს პირველქმნილი იაფეტური ენის, შემდგომში იბერიული და ბოლოს კოლხური ენის უშუალო გაგრძელებას, ანუ, გენეტიკური (ფილოლოგიური) წარმომავლობის თვალსაზრისით ის წარმოადგენს იაფეტურ ენას.
10. ქართველური ენები, - ამ სახელწოდების პირდაპირი მნიშვნელობით, - არასოდეს არსებულან, არამედ არსებობდა და არსებობენ იაფეტური ენები.
11. აღნიშნული გარემოებანი არ წარმოადგენს იმის აუცილებლობას, რომ შეცვლილი იქნას საუკუნეების მანძილზე არსებული და ტრადიციულად დამკვიდრებული, ქართულ-ქართველური აღმნიშვნელი ზემოთ მოტანილი და სხვა სახელწოდებანი, იგივე, - ცნებები ანუ ტერმინები;
12. ამასთან, როცა საკითხი ეხება მეგრულ ენას, - როგორც იაფეტური ენიდან სწორხაზობრივად მომდინარე ენას, - შეიძლება ითქვას და დაიწეროს: „მეგრული (კოლხური, ივერიული, იაფეტური) ენა“.

მამანტი ძაძაძია, პროფესორი, აკადემიკოსი



ისპორიის გამარჯვებული სარკა

(ანუ, როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას და როგორ ვამახინჯებთ ქართველები საკუთარ ისტორიას)



თავშივე უნდა გაავარდნილო პატივცემული მიკითხველი, რომ ხაზგასმით არ მიყვარს სერიალები, რომლებიც მხოლოდ კომერციულ დატვირთვას ატარებენ და აქედან გამომდინარე, მათში უგულვებელყოფილია რეალური სოციალური წიადსებები, მორალი, ზნეობა, ადამიანის სულიერი სიფაქიჭე და მისი ფორმირების პროცესთა ზოგადსაკაცობრიო ნიუანსები, სამაგიეროდ, ნებისმიერ ამ სერიალს რეგრადულად გასდევს ლამის დაუჯერებელი, უნიჭო ზღაპრად წარმოჩენილი მოულოდნელობები, ყოველგვარ აზრობრიობას მოკლებული ეპატაჟური სცენები და ინცესტამდე მისული სექსუალური პასაჟები...

ერთი სიტყვით, აღნიშნული სერიალები თვალშისაცემად მდარე ლიტერატურული თუ მხატვრული პროდუქტია და იგი განკუთვნილია მცირემცოდნე (ბოდის მოვიხდი ამ კატეგორიის ადამიანების წინაშე, მაგრამ ჩემი მიზანია აღნიშნული კინოროდუქციის უფერულობის წარმოჩენა და არა ვინმეს შეურაცხყოფა), მხოლოდ სენსაციუზისა და იაფფასიან შოუებს დახარბებული აუდიტორიისათვის. მაგრამ, ჩვენდა გასაცრად, ამ სერიალებშიც გამოერევა ხოლმე ნამუშევარი, რომელმაც შეიძლება დააინტერესოს ისტორიის მოყვარული საზოგადოება. კერძოდ, ამ წერტელში საუბარია მექნება თურქულ მრავალსერიისა (300 სერიის მქონე) მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმზე **“დიდებული საუბრები”**, რომელმაც მხოლოდ იმიტომ დამაინტერესა, რომ მასში შუა საუკუნეების თურქეთის სულთნის, მემტატინეთა მიერ **“საჯულმდებლად”** და **“ბრწყინვალედ”** სახელდებული სულეიმან მეორის (1520-1566 წწ.) ცხოვრებისა და მისი გარდაცვალების შემდგომი პერიოდის თურქეთის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამხედრო ცხოვრება ასახულია.

სულთან სულეიმან მეორის მმართველობის პერიოდს მართლაც **“დიდება”** კამად შეიძლება იქნეს მიჩნეული ოტომანთა **“უძლეველი”** იმპერიისათვის, რადგან მათ არ იკმარეს 1456 წელს ქრისტიანობის **“მეორე რომაე”** მიჩნეული კონსტანტინოპოლის აღება, ევროპას შეუტყის და ერთმანეთის მიყოლებით აიდეს ალბანეთი, საბერძნეთი, სერბეთი, ბოსნია, ბულგარეთი, რუმინეთი, ავსტრია...

ოტომანთა ფლოტმა რამდენჯერმე დამაჯერებლად გაიმარჯვა ქრისტიანულ სახელმწიფოთა კოალიციის გაერთიანებულ ფლოტზე და ხმელთაშუა ზღვა ლამის საკუთარ ტბად გაიხდა...

საქმე ისე წარიმართა, რომ დროის ამავე გახლდათ ოტომანთა მიერ რომის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ევროპულ სახელმწიფოთა დაპყრობა. მაგრამ, ქრისტიანული სამყაროს სასიკეთოდ საქმე სხვაგვარად წარიმართა და სულთან სულეიმანის გარდაცვალების შემდეგ ოტომანთა იმპერიამ მალევე დაკარგა დაპყრობილი ტერიტორიები და მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო-პოლიტიკური ცენტრის პოზიციები.

რაც შეეხება სულთან სულეიმან მეორეს, ფილმში იგი გამოყვანილია ნიჭიერ სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწედ და შეიღების მკაცრად აღმზრდელ სამართლიან, გულმოდგინედ და დიდებულ მამად, რომლისთვისაც უპირველეს ამოცანას ოტომანთა იმპერიის ძლიერება წარმოადგენდა. ყველაფერი ვეთანხმებით ფილმის შემქმნელებს, გარდა სულეიმანის გულმოდგინეობისა და სამართლიანობისა, რადგან ამ საკითხზე მსოფლიოს ცნობილ ისტორიკოსებს სრულიად განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ!

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გერმანიის იმპერატორ ფერდინანდის ელიჩის ოქრე გიზელენ ბუსბეკის, ასევე ოსმალეთის წარსულზე მომუშავე შუასაუკუნეების გერმანიელი ისტორიკოსების ჰამერ-პურესტადის და ცინკეიხენის ჩანაწერები, რომლებიც არა მხოლოდ დაწერილებით აღწერენ სულთან სულეიმან მეორის საიმპერატორო კარის ბრწყინვალეობას, არამედ მის საშინელ ოჯახურ ტრაგედიასაც, რამაც სისხლში ამოთხვარა სულეიმანის საიმპერატორო მოსახლამი. 1553 წელს მან სიკვდილით დასაჯა უდავოდ ნიჭიერი უმრწემესი შვილი მუსტაფა და მისი მცირეწლოვანი შვილი (4 წლის ასაკისა), რაც, ფილმში, სულეიმანის ცოლს, წარმოშობით ბესარაბიელი მღვდლის შვილს როქსელანას (პიურემი) და დიდგვირად აღზევებულ მეჯინბუოუსუცეს რუსტემ ფაშას ბრალდებით. სინამდვილეში კი სულთან სულეიმანს მუდამ ემინობდა ტახტის დაკარგვისა, რისი უმნარჩუნებისთვისაც მას არად მიანდა საკუთარი შვილებისა და შვილისშვილების სიცოცხლეც კი.

არ გახლავთ ეს ისტორიის შელამაზების თვალშისაცემი ფაქტი?

სახელგანთქმული ისტორიკოსი ჰელმულტი თავის **“კაცობრიობის ისტორიაში”** აქვეყნებს ბუსბეკის ჩანაწერებს, სადაც მოთხრობილია, რომ სულეიმანის შვილმა, დაბადებით კუხიანმა, მაგრამ ჭკვიანმა ჯიჰანგირმა მუსტაფას კუბოსთან მოთკლა თავი უღმობელი მამის თვალწინ. ფილმში კი ჯიჰანგირი დარდისაგან კვდება, რითაც რეჟისორებს სულეიმანის სისასტიკე უკანა პლანზე გადაჰყავთ.

ჰელმულტი სერიოზულ ეჭვს გამოთქვამს, რომ პიურემი (როგორც აღვნიშნეთ, თურქების მიერ გატაცებულ ბესარაბიელი მღვდლის შვილი იყო, გამოჩენილი გახლდათ როგორც ულამაზესი და უცბიერესი ქალი, რომელმაც, სამეფო კარზე განადგვრული ინტრიგების წყალობით, ლამის კაბაზე გამოიბა სულეიმანი) დასავლეთის სამყაროს აგენტია და იგი შეგნებულად **“მიუგდეს”** სულეიმანს, რათა მის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის ტახტზე ჭკვიანი მმართველები არ აღმოჩენილიყვნენ. ამიტომ, ისტორიკოსი ჰელმულტი სერიოზულად ეჭვობს, რომ მექმედი მოწამლეს სწორედ მისი ბიოლოგოური დედის პიურემის ბოროტი ნებით, რათა ტახტისაკენ გზა გაკაფოდა უნებისყოფო და ლოთ სელიმს, რომელიც პიურემმა ასევე ძლიერ ქალზე – ვენეციელ სესილიაზე დააქორწინა, რომელიც ისევე თავის ჭკუაზე ატრიალებდა უკვე გასულთნებულ სელიმს, როგორც პიურემი – სულეიმანს.

სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ერთ დროს ბიზანტიის დამამხობელი და კონსტანტინოპოლის აძლები ოსმალეთი, ამ სუსტი მმართველის ხელში, თანდათან დასუსტდა და მალე ლამის დაშლის პირად მივიდა. ვიმეორებ – ამიტომ გამოთქვამენ სერიოზულ ეჭვს იმდროინდელი თუ შემდეგი პერიოდის მემტატინეები, რომ პიურემი საქცილდურად იყო მიჩნეული სულთანისათვის, რათა მის შემდეგ მოძლიერებულ ოსმალეთის ტახტზე ყოვლისშემძლე სულთანი არ დამჯდარიყო, რომელიც დასასრულადმდე მიიყვანდა სულეიმან მეორის მიერ წამოწყებულ იმდროინდელი სამყაროს სრულიად გათურქების პროცესს!

თუ ეს ასეა, მაშინ ქრისტიანულ სამყაროს მადლობის მეტი რა უნდა გვეთქმოდეს პიურემის მიმართ.

ფილმში კი ყველაფერი ყირაზეა დაყენებული – მექმედის მოწამლეა სულეიმანის პირველი ცოლს, მუსტაფას დედას – მაჰიდევრანს ბრალდებდა, სულეიმანი კი საშინლად განიხილავს უმრწემესი შვილის მუსტაფას ტრაგიკულ აღსასრულს!

მოკლედ, ფილმის მიხედვით, ყველა ამ მოხდარ ტრაგედიათა მიზეზი შემთხვევითი ინტრიგებია – რეალური დამნაშავე, ტირანი და სისხლისმსმელი სულეიმან მეორე კი არაფერ შუაშია!

არ გახლავთ ეს ისტორიის შელამაზების თვალშისაცემი ფაქტი?

აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ თვალშისაცემია ჩვენი მატინის უხუსტობაც. კერძოდ, სულგანათლებულ ლევან სანიკიძის **“უქარქაშო ხმლებსა”** და სხვა ქართულ ისტორიულ წყაროებში სულეიმან მეორე სულეიმან პირველად და მოხსენებულო, მათი სულთნობის ჟამს კი ლამის ერთი საუკუნე ამორებს ერთმანეთს.

ფილმში ასევე მხოლოდ გაკვირება ნათქვამი იმდროინდელ ოსმალეთში ფეხმოკიდებულ ბარბაროსულ ტრადიციას, რომელიც სახელმწიფოს კანონად აქცია ჯერ კიდევ სულთანმა მურად პირველმა. ოსმალეთის ტახტზე ასულ სულთანს უნდა დაეხეოდა თავისი ძმები, რათა ტახტის მფლობელს კონკურენტი აღარ დარჩენოდა, რომელთა შორის განადგებულ ბრძოლასაც შეიძლება იმპერიის გახლეჩა მოჰყოლოდა. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება ოპტიმალურიც კი იყოს, მაგრამ რამდენად მისაღებია იგი ადამიანური თვალსაზრისით? განა სწორედ ამიტომ არ დასაჯა სიკვდილით სულეიმანმა მუსტაფასთან ერთად მისი ოთხი წლის შვილიც, რომელიც დაკაცების შემდგომ შეიძლებაოდა ტახტზე ასულ სულთანს მოკიდებოდა მტრად?!

განა ამიტომ არ მოაკლევინა ოსმალეთის ტახტზე ასულმა სელიმმა სპარსეთში გაქცეული მისი უმცროსი ძმა ბაიახეთი და მისი ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი?

განა ამიტომ ამ ამოხედა სულეიმანის შემდეგ ტახტზე ასული სულთან სელიმ მეორის შვილმა მურად მესამემ თავისი სუთი ძმა, ოსმან მეორემ კი ძმა საკუთარი ხელით დაახრხო. ასევე ძმების სისხლში აქვს ხელები გასერილი ოსმალეთის სულთან მურად მეოთხეს. ამ საქმეში კი **“რეგორდი”** აშკარად ეკუთვნის სულთან მურად მესამის შვილს მუჰამედ მესამეს, რომელმაც ტახტზე ასვლისთანავე საკუთარ 19 ძმას საზოგადოებრივ ხარტოვით დააჭრა ყელები და სრულიად არ უგრძნობს სინდისს ქენჯნა.

თურქების მიერ გადაღებულ ფილმში ამ ამაზრხენი ტრადიციის თაობაზე მხოლოდ მინიშნებითაა საუბარი, მაშინ, როცა ქართველებმა მის მკვლელობის ერთადერთი შემთხვევა კი ვაპატიეთ უფლისწულ კონსტანტინეს და ფილმშიც კი მივეძღვეით მის აკაცობას.

უფრო მეტიც, **“მწერლებად”** და **“ისტორიკოსებად”** წოდებული სისხლმოწამლული ვიქტორიული არარობები უპაყდაცოლდ მიმბრუნებენ წმინდანებად აღიარებული ქართველი მეფეების სულიერ ლაბირინთებში და საკუთარი გარყვნილი სულიერების ჭრილში განიხილვენ მათ მოღვაწეობას. ასე აღმოჩნდა ზოგიერთი ამორალური არამზადა **“მემტატინე”** თვით წმინდა თამარ მეფის ბულღარშიც კი! ცუდაა, რომ ისტორიის დამამბინძურებელი ამგვარ ვიამყარალებს კანონი არ სჯის!

ამრიგად, თურქები დიდის მონდომებით ალამაზებენ საკუთარ ისტორიას და დიდ სახელმწიფო მოღვაწეებად წარმოვიდგენენ ჩვენგანებრივ მკვლელებსა და მედროეებს!

ჩვენ კი, რატომღაც, სრულიად გაუკულმართებული დამოკიდებულება გვაქვს საქართველოს ულამაზესი წარსულის მიმართ, ზოგიერთ ისტორიკოსს კი ჩვენი წარსულის შემრყენელი აშკარად არაქართველი ლონტი მოგველის მიერ ნანხრეკი სინბინძურეები ურჩევლია გიორგი მერჩულესა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოწოდებულ უტყუარ ცნობებს. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ, მე და დავით ქობალიამ, ქალბატონ ნაზი ქობალიას ფინანსური მხარდაჭერით ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მოვიძიეთ ყველა სახეისაგან (ტეგვისაგან – შეგნებულად) მივიწყებული და ბოროტა ხელისაგან განადგურებას გადაარჩენილი, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის გარეთრეხე გამოცემული წიგნი ივანე ჯავახიშვილისა – **“ქართველი ერის ისტორია”**, რომელიც ათას ეკზემპლარად გამოვეცით. ამ წიგნში სულმანთი მეცნიერი ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ქართული კულტურა და ცივილიზაცია კოლხეთის სამყაროში იღებს სათავეს. როცა ეს წიგნი ხელში ჩაუვარდა ცნობილ ისტორიკოს ქალბატონს (მე, როგორც ხელოვნებათმცოდნე, მის ვინაობას არ ვაკონკრეტებ მისი ძმის, ცნობილი ქართველი კინორეჟისორის ხსოვნის ხატრით – რ.ჯ.), გულისწყრომით უთქვამს: – საიდან გამოთხარეს ეს წიგნი ამ ჯალადანამ და ქობალიამ, ჩვენ ჯავახიშვილის ყველა ნაწერი მივიძიეთ და მის მრავალტომეულში შევიტანეთ!

აი, ასე ვეპყრობით ჩვენ საკუთარ ისტორიას და მერე ვეკვირს, თუ რატომ გვედავებიან ჩვენი მართლაც ბარბაროსი

მეზობლები საქართველოს უმდიდრესი ისტორიის განუყოფელ ნაწილს!

თურქებისაგან განსხვავებით, ნუ შევალამაზებთ ჩვენს წარსულს (რომელსაც შელამაზება ნამდვილად არ სჭირდება), მაგრამ იმას მაინც ნუ დაგვკარგავთ, რაც გვქონდა.

ნუთუ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ვერ უნდა შევიმეცნოთ?

“ისტორიის შელამაზებას” პირუთენელი მემტატინეები **“ისტორიის დამახინჯებად”** მიიჩნევენ, რაშიც დღეს ბადალი არა ჰყავთ სწორედ იმ თურქებსა და სომხებს, რომლებიც ყოველთვის ღია თუ ფარულ მტრობას ატარებდნენ გულთი ლამაზი ქართველი ერის მიმართ. სწორედ ჩვენი ხორციელი და სულიერი სილამაზის **“დამახინჯება”** გახლდათ ის, რომ თურქებს ნებისმიერი მასშტაბური შემოსევისა თუ ბანდიტური თავდასხმებისას მიზნად ჰქონდათ არა იმდენად ქართველების ხელერთპირად ამოუღებლად, არამედ მათი დატყვევება და სტამბოლში მონებად წასხმა, რათა მით მუდმივად განეახლებინათ სისხლის აღრვის გამო გაუჯიშოებელი საკუთარი გენი. განა ამის დასტურირი არ გახლავთ თურქებისათვის გენეტიკურად უვარგისი და გამოუყენებელი იმ სომხების გენოციდი, რომლებიც ისტორიულად ყოველთვის ქართველებზე ნაკლებ წინაღმდეგობას უწყვედნენ ე.წ. **“თურქულ სინდრომს”** და ჩვენზე ბევრად ნაკლებად ამწარბებდნენ მუსულმანებს?

განა ეს არ გახლავთ საკმარისი ამომწურავი ისტორიული დასკვნების გასაკეთებლად? მაგრამ, ქართული ისტორიოგრაფია დანაშაულებრივად სდუმს ამაზე, რის მიზეზადაც მე სწორედ ქართულ **“მოსომხო ელემენტთა”** ძალისხმევას მივინივე!

სიმართლე ერთია ამ ქვეყანაზე და მას თვალთ უნდა გაუწირონ იმ ერის შვილებმა, რომელთაც ხელეწიფებათ საკუთარი ისტორიის **“გალამაზება”** სხვა ერების წარსულის ხარჯზე, ასეთებად კი მე დღეს თურქებსა და იმ სომხებს მივინივე, რომლებიც სრულიად უსაფუძვლოდ და უზნერად გველავებოან ქართულ ეკლესიებს...

ამიტომ, შეადარეთ ერთმანეთს **“დიდებულ საშუალებას”** მონათლული თურქული ისტორიულ-პოლიტიკური მხატვრული აჯაფსანდალი და სულმნათი კონსტანტინე გამსახურდიას ნატიფი ხელით, ლამის სიტყვატყუარად შექმნილი **“დიდესობის მარჯვენა”**, რომელშიც პირუთენელად, სახეისმული კეთილსინდისიერებითაა აღწერილი საქართველოს უდიდესი მეფისა და ასევე უდიდესი დიდოსტატის მოწამებრივი ყოფა.

ერის კულტურას კი მისი კეთილსინდისიერება განსახვდვარავს და არა ხელოვნურად შეკოწიწებულ-შეთითხნილი **“სილამაზე”**.

არსებობს ბიბლიური წყველა **“შენი არ მოგახმაროს ღმერთმაო”!**

რატომღაც გგონია, რომ ეს სიტყვები სწორედ ქართველებზეა უღვამოტრილი, რომელმაც ვერა და ვერ გამოგვიყენებია საკუთარი მდიდარი ისტორია, მაშინ, როცა იგივე სომხები თუ აზერბაიჯანელები (სხვა ერის შვილებიც) წარმატებით იყენებენ ჩვენს ისტორიას და მით ილამაზებენ საკუთარ უდიდეს მოწამულს.

უღამამ შექსიონთი თავის ნაწარმოებ **“ოტელი”**-ში ამბობს: **“გაქურდულად არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანი, რომელიც ვერ შეამჩნევს, რომ მას რაიმე მოპარეს”.**

ამიტომაც არ შეიძლება ჩვენ ჩავითვალოთ გაქურდულებად, იმიტომ, რომ ჩვენივე სიბევისა თუ გულდარხინობის გამო ვერ ვამჩნევთ, რომ ბოროტი მეზობლები ხან გარეჯის მონასტერს გეპარავენ, ხან ალავერდის ტაძარს, ხან ლაზისტანსა და ტაო-კლარჯეთს, ხან ხაჭაპურს, ხან **“საფერავს”** ხან **“ხვანჭკარას”**, ხან კი **“წაგურდულს”** და **“მრავალჯამიერს”**...

რაც შეეხება თურქებს, ისინი გულმოდგინედ ალამაზებენ საკუთარ მახინჯ ისტორიას, ჩვენგან განსხვავებით, რადგან ჩვენ, პირიქით, ჩვენს ლამაზ ისტორიას ვამახინჯებთ!

ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით! დრმა პატივისცემითა და დიდი მწუხარებით,

როლანდ ჯალალანი,
“აია“-ს და “შაზისი“-ს აკადემიების ნამდვილი წევრი

მებრული ენის სწორუპოვარი მკვლევარის იუბილე



29 მაისს, მებრული ენის დღეს, ქალაქ ჯალენჯიხაში, მასშტაბურად აღინიშნა ძველკოლხური ენის სწორუპოვარ მკვლევარად და ენათმეცნიერების დარგში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენების ავტორად აღიარებული მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „აიას“-ს საპატიო პრეზიდენტის, პროფესორ მაძანი ბესარიონის ძე ძაძაძიას დაბადებიდან 75 წლისთავი.

კინოთეატრის დარბაზში ჯალენჯიხის საზოგადოებასთან ერთად შეკრებილნი იყვნენ საპატიო სტუმრები დედაქალაქიდან და სამეგრელოს მუზოხელის რაიონებიდან.

ნატივში გემოვნებით გაფორმებულ სცენაზე, სიმეტრიულად განლაგებულ მაგიდე-ბზე ქვეშ იუბილარის დიდი ფორმატის ტომეულები და ახალი სქელი წიგნები, რომელთა შესახებ უთუოდ ინფორმირებულინი არიან „ილორის“ მკითხველები.

შეკრებილი ხალხის პატივისცემისა და სიყვარულის გამომხატველი ოვაციების თანხლებით, სახელოვანი მეცნიერი თანავეტორ შედითან, ამჟამად აკადემია „აიას“-ს მოქმედ პრეზიდენტ ცირა ძაძაძისათან ერთად, „კუჩხი ბედინერის“ უძველესი პანგებიტ გარემოსილი ავიდა სცენაზე და იუბილარისათვის განკუთვნილი სავარძელში დაბრძანდა.

ტრბუნა მომხსენებელს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის ყოფილ წევრს, ჯალენჯიხელ ვალერი ჭანტურიას დაეთმო.

მომხსენებელმა მიმოიხილა იუბილარის ცხოვრებისეული გზა და აღნიშნა, რომ მაძანი ძაძაძია სკოლის პერიოდიდანვე იყო გამორჩეული სწავლითა და ორგანიზატორული ნიჭით, მან წარმატებებს თავიდანვე მიადნია ისე, რომ ზურვის ქარს არ დაუბერავს და ხელის წამკერედიც არა პყლია, საკუთარი ინიციატივიანობით გახდა ახალგაზრდობის თავკაცი, შემდეგ კი

– პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი; უკომპრომისო ბუნების გამო გამოსცადა ძნელბედობა, რეპრესიები და შევიწროება, მაგრამ სამართლიანი გზიდან არ გადაუხვევია, როცა ბედიით არჩევანის პერიოდი დაუდგა, დამხობილი ეროვნულ ხელისუფლებას დაუჭირა მხარი, მერე მეგობართა წრისთვისაც მოულოდნელად მასში იფეთქა მკვლევარის ნიჭიერებამ და ყოველგვარი ჯვბირი გაანგრია... დღეს ძნელია არ აღფრთოვანდეს მისი ნიჭიერებით, მიზანდასახულობითა და შეუპოვრობით. რაც მან გააკეთა, მართლაც ტიტანური შრომა და თუნდაც ყველას მიერ ახლა ვერ დაფასდეს სათანადოდ, მომავალი უთუოდ აღაზიერებს... ასე გვჯერა და გვწამს, რომ ასეც იქნება!

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ გამომხველები: მწერალი თამაზ ფიფია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია, თანასკოლელი ინეზა გოგინავა, იუბილარის მეუღლე ელენორა მებონია-ძაძაძია, ჯალენჯიხის მთავარი ბიბლიოთეკის გამგე ნუნუ შანავა, რეგიონალური გაზეთის „ვერისის მაცნეს“ რედაქტორი ნათია ჯგუშია, „ფახისის“ აკადემიის წევრი ფოთიდან ვაგნერ მხეიძე, ეროვნული მოძრაობის ვეტერანი აბაშიძე ვახტანგ კიკელია, აკადემია „აიას“-ს ვიცეპრეზიდენტი ალექო თოდუა, აფხაზეთის წარმომადგენელი ვალიდან, პოეტი ნუგზარ შამუგია, ცნობილი მწერალი, აღმანახ „აიას“-ს მთავარი რედაქტორი გიორგი სიჭინავა, საზოგადოება „ზუგდიდელის“ წარმომადგენელი ვაჟა ფიფია, იუბილარის მშობლიური სოფლის, ქვერის საშუალო სკოლის პედაგოგი მთავრისა ფიფია, ბიზნესმენი, სამეგრელოში ცნობილი სიმღერების ავტორი ლადო კვარაცხელია, ჯალენჯიხაში გამომავალი ლიტერატურული გაზეთის „ნოვოხურის“ რედაქტორი ვალერი ძაძაძია, „ნოვოხურის“ თანამშრომელი, აკადემია „აიას“-ს სამდივლი წევრი ნუგზარ სართანია, ჯალენჯიხელი პედაგოგი შხია უბილავა, სამეგრელოს წარსულზე საინტერესო გამოკვლევების ავტორი, ჯალენჯიხელი რევაზ მორგოშია, ჯალენჯიხელი ელემ ღვინჯილია.

მომხსენებლისა და გამომხველეთა სიტყვებშიც აღინიშნა, როგორც ენათმეც-

ნიერების დარგის სპეციალისტების, ასევე სხვათა შეფასებები და გამოთქვამები იუბილარისა და მისი თანავეტორების ნაშრომების შესახებ.

იუბილარს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები: აბაშის რაიონის სახელით კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტი და ეროვნული დროშა, აფხაზეთის წარმომადგენლისაგან კი – გალის რაიონული გაზეთის სპეციალური ნომერი, სადაც მასზე ვრცელი სტატიაა გამოქვეყნებული. რამდენიმე გამომხველმა საკუთარი ლექსები მიუძღვნა იუბილარს.

გამომხველთა მიერ გაუღერდა წინადადებები, რომ ქალაქ ჯალენჯიხაში გაიხსნას მაძანი ძაძაძიას ვარსკვლავი მებრული ენაზე მისი დიდი ამბის აღსანიშნავად და შეიქმნას ფონდი მაძანი ძაძაძისა და მის თანავეტორთა საქონათმეცნიერო ნაშრომების გამოსაცემად.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და მაძას საიუბილეო თარიღი მიუღოცა აკადემია „აიას“-ს პრეზიდენტმა ცირა ძაძაძიამ, რომელმაც განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნა, რომ სწორედ მამა იყო მისი დამკვლიანებელი მეცნიერებაში და თანავეტორებს სწორედ მან შეგვასწავლაო მიზანმიმართული კვალიფიციური საქმიანობა.

წაკითხული იქნა მრავალრიცხოვანი მოლოცვები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

დასასრულს, იუბილარმა შეკრებილთ მადლობა გადაუხადა გამომხსენილი დიდი ყურადღების გამო და განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ჯალენჯიხის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისადმი, რომელთა ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა იუბილეს სანაქებოდ ორგანიზება და ჩატარება, აღნიშნა, რომ აკადემია „აიას“ კვლავაც შემოქმედებითი გეგმებით არის დასუხმდული.

იუბილეს რეფრენად გასდევდა ჯალენჯიხელთა ცნობილი ანსამბლის „ბედინერას“ გუნდური სიმღერები, ასევე სამურად ერთვებოდა პოეტების რინოს კვარაცხელიას, მიმოზა ცანავას, ზურაბ ცხონდიას, მელენტი ფიფიას მაძანი ძაძაძისადმი მიძღვნილი ლექსები, რომლებსაც შთაბეჭდავად კითხულობდა ანდრია ცანავა. ყოველივე ამისი სცენარი და კომპოზიცია-

ური გადაწყვეტა ეკუთვნის ჯალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დიქტორს თამარ კვარაცხელიას, რომელიც გამოცდილი დიქტორის ხელოვნებით უძღვებოდა რამდენიმე საათს გაგრძელებულ მსველელობას.

„მრავალვამიერო“ იუბილეს დამთავრებისთანავე, გაზეთ „ილორის“ სახელით ვიხოვეთ ბატონ მაძანტის გამოეხატა საკუთარი შთაბეჭდილებები.

მამანტი ძაძაძია: პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, რომ საიუბილეო საღამომ სასიამოვნო ვითარებაში ჩაიარა. როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვებით გამოსულებმა გამოავლინეს აშკარად კეთილგანწყობილი, აღფრთოვანებული დამოკიდებულება ჩემი და თანავეტორების ნაშრომების უმთავრესი შედეგის მიმართ, რაც მებრული ენის ლექსიკის ყოველმხრივი კვლევა-ძიების საფუძველზე, ენის წარმოშობის საკითხის წარმოდგენით გამოიხატა, როგორც ჩემს გამოსვლაშიც განვაცხადე, ჩვენს მიერ მიღწეულ ყველა წარმატებას მივაწერ მებრულ ენას. იუბილეს მსველელობაში თვალნათლივი გახდა, რომ ენის წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლების ცოდნა აუცილებელია საზოგადოებისათვის და არამხოლოდ ენათმეცნიერებისთვის, ფილოლოგიებისათვის. ასევე ერთსულოვნად გამოიხატა, რომ აუცილებელია მებრული და სხვა ქართველური ენების დაცვა, ვინაიდან უამისოდ გადაშენება მოელის ჩვენს სათავყვანებელ საერთო ქართულ ენას.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უდრემესი მადლობა გამოვხატო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისადმი, მრავალრიცხოვანი ინდივიდუალური მილოცვებისა და კეთილმსურველებისადმი, რაც გამოქვეყნდა წერილობით, ანდა გამოიხატა სატელეფონო საუბრებით, საიუბილეო ღონისძიებების წინა თუ მომდევნო დღეებშიც.

ეს ღონისძიება, მე და ჩემს თანავეტორებს გვახალხებს კვლავაც მკლავმოდვლელად შრომას, სიბეჯითით და მიზანსწრაფვას. იგი გვაძენევენს და განვავსებს მომავალი აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისათვის, ენის ფუნდამენტისათვის დამახასიათებელი ამოუწურავი მონაცემების კვლევ და კვლავ გამომხვეურების თვალსაზრისით.

თამაზ ფიფია

ქრისტიანთა ხოცვა-წამება და ისლამი: სრულიად საქართველოს მუსლიმთა მუფტის ექსკლუზიური ინტერვიუ

სირიის ისლამური სახელმწიფოს ტერორისტული დაჯგუფება „ISIS“-ი სისტემატურად აქვეყნებს ქრისტიანი ასირიელების წამებისა და დახოცვის შემზარავ კადრებს. კადრებში ჩანს, თუ როგორ აწამებენ უმწყო ბავშვებს და როგორ ხოცავენ პატარებს.

რამდენად ჯდება ეს ისლამური რელიგიის დებულებებში და რა შეიძლება იყოს გამოსავალი, – ამაზე კომენტარი საქართველოს მუსლიმთა მუფტს, **ბემბლარ ძამაშიძეს** ვთხოვეთ:

– ისლამი ყოველგვარ მკვლელობას გმობს და იმით, რაც სირიაში ხდება, ისლამს არ უნდა მიადგეს ჩრდილი, რადგან ისლამი არ ქსდაგებს მკვლელობას და ადამიანის შეურაცხყოფას. ისლამი არის ურთიეროსიყვარული.

– თუმცადა ქრისტიანთა მკვლელობა სწორედ ისლამის სახელით ხდება...

– შესაძლოა, პიროვნებები აკეთებენ ამას იმიტომ, რომ ისლამს შეურაცხყოფა მიაყენონ და ვინც ამას ისლამის სახელით აკეთებს, მათ ღმერთი აუცილებლად დასჯის. ერთ მაგალითს გეტყვით ჩვენი სარწმუნოებიდან: რაც არ უნდა ურწმუნო ყოფილიყო ადამიანი, შეუამავალი მას წყველითაც არ დაწყველიდა, პირიქით, მასზე განსაკუთრებით ილოცვებდა, რომ ჭეშმარიტების გზას დადგომოდა. აი, ესაა ნამდვილი ისლამი და აქედან გამომდინარე, ისლამი როგორ იქნება მკვლელი?!

– რატომ არ გმობენ ჭეშმარიტი მუსლიმები ამ ფაქტს?

– ჩვენ ელემენტარულად იმის საშუალება უნდა გვქონდეს, რომ რომელიმე გადაცემაში გამოვიდეთ და ჩვენ მრევლს და მთელ კაცობრიობას ერთხელ და სამუდამოდ დავეუდასტუროთ, რომ ისლამი არ არის მკვლელი.

– ანუ თქვენ ამბობთ, რომ არ გაქვთ განცხადების გაკეთების საშუალება და იმიტომ ვერ ავრცელებთ თქვენს შეხედულებას?

– ღიახ, ჩვენ უნდა მოგვეცეს საშუალება, რომ ჩვენი

შეხედულება მივიტანოთ ხალხამდე და ვუთხრათ მოსახლეობას, რომ ისლამი გმობს ყოველგვარ ძალადობას და თუ ახლა ადამიანი საკუთარი აზრით მოქმედებს, ეს არ უნდა მიეწეროს ისლამს.

– შეგიძლიათ ჩვენი ინტერვიუ გამოიყენოთ განცხადების გასაკეთებლად.

– ის, რაც დღეს ხდება, ესაა ისლამოფობია. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ისლამი შეაძლონ სხვა აღმსარებლობის ადამიანებს.

– მუსულმანი სასულიერო პირები თუ მსჯელოთ ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე?

– რა თქმა უნდა, ამაზე ჩვენ გვაქვს შეხვედრები. მაგალითად, 18 აპრილს ბათუმში გაიმართა კონფერენცია, სადაც ამ საკითხს შევეხეთ. სამომავლოდ თუ ღმერთმა მომცა ძალა, მე კიდევ ვაპირებ დიდი კონფერენციის ჩატარებას და მინდა მოვიწვიო მსოფლიოს რელიგიური წარმომადგენლები და მათთან ერთად ვიმსჯელოთ ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე.

– რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა წაიდა სირიაში საბრძოლველად. მათი ეს ნაბიჯი რამდენად სწორი იყო?

– მე მათ მივმართავ, რომ არ გააკეთონ ის, რაც არც რელიგიას და არც ქვეყანას არ შეეფერება. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება იქნება ის, რომ მომავალში სახელმწიფოს დახმარებით ჩვენ ვგვამავთ ჩამოყალიბდეს ტრადიციული ისლამის სკოლები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და ჩვენ ჩვენს მორწმუნე მრევლს ვასწავლოთ, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი მამადიანობა.

– ბატონო ბეგლარ, ხომ არ აპირებთ სხვადასხვა ქვეყნის მუსლიმი ლიდერები სირიაში ჩასვლას და ISIS-ს წარმომადგენლებთან შეხვედრას?

– არა, ამაზე ჯერ არ გვქონია საუბარი და მომავალში, თქვენი შესხენების შემდეგ, შეიძლება ამაზეც ვიმუშაოთ.

ლადო გობოლაძე

უკრაინაში დეკომუნისაციის მუხახეუბ კანონები ამოქმედდა! – რია ნოვოსტი



უკრაინაში ამოქმედდა ოთხი კანონი „დეკომუნისაციის“ და ნაცისტური რეჟიმების დაგმობის შესახებ“, რომლებიც კერძოდ, კრძალავს საბჭოთა სიმბოლიკის პროპაგანდას.

აპრილში უკრაინის პარლამენტმა მიიღო კანონები „უკრაინაში კომუნისტური და ნაციონალ-სოციალისტური (ნაცისტური) ტოტალიტარული რეჟიმების დაგმობისა და მათი სიმბოლიკის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“, „1917-1991 წლების კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმების სარეპრესიო ორგანოების არქივებზე წვდომის

შესახებ“, „1939-1945 წლების მეორე მსოფლიო ომში ნაციზმზე გამარჯვების უკუდავაყოფის შესახებ“ და „მეოცე საუკუნეში უკრაინის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა სსონის სამართლებრივი სტატუსის შესახებ“.

ეს დოკუმენტები კრძალავს საბჭოთა სიმბოლიკას, გმობს კომუნისტურ რეჟიმს, ასაჯაროებს საბჭოთა სპეცსამსახურების არქივებს და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლუბად აღიარებს უკრაინის მემამბოხეთა არმიასა (უპა) და რიგ სხვა ორგანიზაციებს.

რადამ მიიღო კანონების პაკეტი „უკრაინის დეკომუნისაციის შესახებ“, როგორც ამას წინასწარ განჭკვეტდნენ უკრაინელი ექსპერტები. პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ამ კანონებს ხელი არ მოაწერა მაისის დღესასწაულებამდე, რათა არ დაეშვა სიტუაციის გამწვავება და შესაძლო შეტაკებები დემონსტრაციებზე.

საძინფორმი



მოძრაობის თვითლიკვილია დროის სამეა

2015 წლის მაისის მეორე ნახევრის თემი, ისევე გოგა ხაჩიძის, პალიკო კუბლაშვილის, ზურაბ ჯაფარიძის და გიორგი მელაძის მიერ “ნაციონალური მოძრაობის” დატოვება გახდა. მხოლოდ ახლახან გახდა ნათელი, თუ რამ გამოიწვია ოთხეულის ეს გადაწყვეტილება, რასაც ქვემოთ ავსხნით.

ზოგადად კი, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ ავადსახსენებელმა დამნაშაურმა ორგანიზაციამ – “ნაციონალური მოძრაობა” რამდენიმე მძიმე შეცდომა დაუშვა.

პირველი შეცდომა იყო ის რომ, მათ არ აღიარეს ადრე დაშვებული უხეში შეცდომები. არ აღიარება და არ გააზრება იმისა, რასაც ისინი სწავლიდნენ, იყო ძალიან დიდი შეცდომა. გერმანია რომ ისე მოქცეულიყო მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ, როგორც “ნაციონალური მოძრაობა” – ანუ არ ეღიარებინათ საკუთარი შეცდომები, დღეს ის გერმანია არ იქნებოდა რაც არის. დიას, ტერიტორიულად ის იქნებოდა ევროპის ნაწილი, მაგრამ არა ასეთი ძლიერი და ჭეშმარიტად ევროპული ვახუშტობებით. მათ არათუ აღიარეს ის, რომ ებრაელებს გეონოციდი მოუწყვეს და სხვ. დანაშაულები, არამედ დღემდე სინანულს განიცდიან ამის გამო.

“ნაციონალური მოძრაობის” მეორე შეცდომა ის იყო, რომ მათ ვერ დათრგუნეს აგრესია და აგრესიული ტონი. არ შეიძლება ქვეყანას ესაუბრო ასეთი ტონით (გაიხსენეთ, თუნდაც, უცხოებრივ გვიოთხიანობის მუქარა “სულის ამოხდის” თაობაზე), რადგან ნებისმიერი აგრესია შობს ახალ აგრესიას.

